შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: შვილად აყვანისა და შვილობილობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **ქეთევან დუმბაძე**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი **რომან შენგელია**

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია 3
Annotation..... 4
შესავალი 5
თავი I ლიტერატურის მიმოხილვა 8
თავი II შვილების ცნება და მნიშვნელობა..... 13
2.1 შვილება 13
2.2შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგები 17
2.3შვილად აყვანის საკითხი სხვა ქვეყნების მაგალითზე 25
2.4. შვილად აყვანის შეწყვეტა.....29
თავი III საერთაშორისო შვილება - გაშვილება..... 33
3.1 საერთაშორისო გაშვილება და მათი შემდგომი კონტროლი..... 33
თავი IV მინდობით აღზრდა (შვილობილობა)..... 39
4.1 მინდობით აღზრდის არსი და სამართლებრივი პროცედურები კანონდმებლობის მიხედვით 39
თავი V კვლევის შედეგები..... 48
დასკვნა 52
გამოყენებული ლიტერტურა..... 55

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია, მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა მოვლის ყველაზე მისაღები ფორმის, შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის საკითხი, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე სხვა ქვეყნების კანონმდებლობის მაგალითზე.

შვილად აყვანის ინსტიტუტი იმ საოჯახო-სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც არეგულირებს შვილად აყვანის წესსა და პირობებს, რომელსაც დაემატა შედარებით ახალი ინსტიტუტი მინდობით აღზრდა. შვილად აყვანის და მინდობიათ აღზრდის საკითხებისადმი არსებული ლიტერატურა გვთავაზობს მსგავსს და ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო წინანადებებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. კანონმდებლობამ ამ ინსტიტუტის განვითარებასთან ერთად გაითვალისწინა საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესები და მისცა ოჯახებს და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონოდათ სრულყოფილი ოჯახი.

საყურადღებო ქართული საკანონმდებლო მასალის და საკანონმდებლო პრაქტიკის ანალიზი რომელიც კარგად წარმოაჩენს იმ ხარვეზებს, რაც გააჩნია ამ კუთხით შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სამართლებრივ ასპექტებს. შესაბამისად ნაშრომში განხილულია ამ საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის ცნების, სამართლებრივი ბუნების, წარმოშობის, განვითარების და არსებული პრობლემური საკითხების გამოკვლევის და გამოსწორების გზები.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

This paper discusses the most acceptable form of child care, adoption and foster care, both at the legislative level and in the legislation of other countries.

The institution of adoption is a set of family-legal norms that regulate the rules and conditions of adoption, to which a relatively new institution of foster care has been added. The literature on adoption and foster care offers similar and sometimes contradictory implications for a given issue. The legislation, along with the development of this institution, took into account the ongoing social processes in the society and gave families and children deprived of care the opportunity to have a perfect family.

An analysis of the noteworthy Georgian legislative material and legislative practice that well illustrates the shortcomings of the legal aspects of adoption and foster care in this regard. Accordingly, the paper discusses the concepts of this family-legal relationship, the legal nature, origin, development and research and correction of existing problematic issues.

The paper includes an annotation, a table of contents, an introduction, a main topic (divided into chapters and subsections), a conclusion, and a list of used literature.

შესავალი

თემის აქტუალობა: საქართველში შვილად აყვანა განეკუთვნება საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობას, რომელსაც არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევა მზრუნველობა მოკლებული ბავშვების უფლებების დაცვა, რაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. ბავშვის უფლებების დაცვა კი ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს პირველი ამოცანაა. საკითხის აქტუალობა განაპირობა საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, კერძოდ, საქართველოში შვილად აყვანის ფაქტი ყოველთვის პრობლემატური საკითხი იყო. საკითხისადმი ასეთი მიდგომა სრულიად მართებულია, რადგან ის ორგანოები, რომლებიც ჩართული არიან უზრუნველყონ შვილად აყვანის საკითხი ხშირ შემთხვევაში ეყრდნობიან მხოლოდ არსებულ დოკუმენტაციას, რომლითაც ბავშვის ინტერესები არ არის გათვალისწინებული. პრობლემის არსს კი წარმოადგენს შვილად აყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება.

როგორც ასეთი „შვილად აყვანა“ იურიდიული ფაქტია, ბავშვის შვილად აყვანის მიზანია, რომ ბავშვი აღიზარდოს ოჯახურ გარემოში და გათვალისწინებული იყოს მისი საუკეთესო ინტერესები, რაც შვილად ამყვანსა და ნაშვილებს შორის წამოშობს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორის არსებობს. კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ შვილება მხოლოდ მაშინაა დასაშვები, თუ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა სწორედ ისეთი ურთიერთობა, როგორიც არის მშობლებსა და მათ შვილებს შორის. ჩვენი კანონი უპირატესად მიიჩნევს, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისთვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში, ასევე კანონის მიზანია უზრუნველყოს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სისტემის გამართული ფუნქციონირება, ხელი შეუწყოს საქართველოს ტერიტორიაზე ბავშვის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცედურების ეფექტიანად განხორციელებას. ვინაიდან საქმე ბავშვებს ეხება ეს საკითხი მეტად ფრთხილ მიდგომას საჭიროებს, ამიტომ დეტალურად უნდა იქნე დარეგულირებული, თუ როგორ უნდა მოხდეს ბავშვის გაშვილება, ვინ შეიძლება იყვნენ მშვილებლები. გარანტირებული უნდა იყოს შიდა საკანონმდებლო დონეზე ბავშვის ინტერესების პრიორიტეტულობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ ბევრად დასახვეწი და შესაბამისობაში მოსაყვანია საერთაშორისო ნორმებთან, საქართველოს სხვა საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებთან. საყურადღებოა ასევე საერთაშორისო გაშვილების ნაწილში ბავშვის უფლებათა მარეგულირებელი აქტები. სამწუხაროდ შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არ არის ხელმისაწვდომი და შესაბამისად პრაქტიკის ძირეული შესწავლა და არსებული ხარვეზების გამოვლენა სირთულეს წარმოადგენს.

კვლევის მიზნები:

1. კვლევის მიზანია ნაშრომის თემაზე არსებული კანონმდებლობის შესწავლა და წინადადებების ჩამოყალიბება.
2. გაანალიზოს შვილად აყვანის და შვილობილობის პროცესი ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში.
3. გამოავლინოს შვილად აყვანის ინსტიტუტის ხელშემშლელი ფაქტორები და მათი გაუმჯობესების მიზნით განსაზღვროს ამ საკითხის გადაჭრის გზები.
4. რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს შვილად აყვანის პროცესის სწორად და ეფექტურად წარმართვას.

კვლევის ამოცანები:

1. შვილად აყვანასთან დაკავშირებული საერთაშორისო აქტების და შიდა კანონმდებლობის შესწავლა.
2. სასამართლოს და მეურვეობის და მზრუნველობაის ორგანოს როლი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცესში.
3. ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გაშვილებულ ბავშვთა სტატისტიკის გაანალიზება.
4. შვილად აყვანის ინსტიტუტის ძირითადი საკითხები, რომლითაც რეგულირდება, როგორც მშვილებლის ისე გასაშვილებელი ბავშვის კრიტერიუმები.
5. საკანონმდებლო დონეზე რეკომენდაციების გაცემა, სისტემის სრულყოფის მიზნით.

6. ბავშვის შვილად აყვანასთან და მინდობით აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემის სამართლებრივი ანალიზი, ნაშრომში არსებული ძირითადი საკითხის დასმა და მისი შესწავლა.

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, თეორიული დებულებები შვილად აყვანის საკითხთან დაკავშირებით. საკითხების შესწავლა და გადმოცემა ხდება ისტორიულ, შედარებით-სამართლებრივი, სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით და მათი ანალიზის საფუძველზე. ნაშრომში განხილულია, ასევე შვილად აყვანის ინსტიტუტის განვითარების პროცესი და გაანალიზებულია კანონმდებლობა. ნაშრომში აღიარებულია ადამიანის და თიოთოეული ბავშვის პიროვნების აბსოლიტური უფლებები, ის რომ შვილად აყვანის საკითხი, მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს. ნაშრომში მოცემულ დასკვნებს საფუძვლად უდევს ჩემს მიერ მოპოვებული საკითხები, რომლის საფუძველზეც მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები. ჩატარდა მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ანალიზი შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებით. ჩატარდა ასევე კვლევა, რომლითაც გამოვლინდა ის პრობლემები, რომელიც აფერხებს შვილად აყვანის ინსტიტუტის განვითარებას და მის პრაქტიკულ გამოყენებას.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

შვილება საოჯახო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელიც სათავეს იღებს ჯერ კიდევ რომის სამართლიდან. საქართველოს ახალი კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ აწესრიგებს, როგორც შვილად აყვანის, ასევე მინდობით აღზრდის სამართლებრივი რეგულირების სფეროს. კანონის მიზანს წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა. მოცემულ ურთიერთობათა მომწესრიგებელი კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით საჭიროა განვიხილოთ რიგი სახელმძღვანელოები და ჟურნალ/სტატიები, საკანონმდებლო აქტებიც, სადაც მოცემულია ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები და მათი რეგულირების და ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრის გზები. მათგან აღსანიშნავია:

პროფესორი შალვა ჩიკვაშვილი სახელმძღვანელო „საოჯახო სამართალში“ საუბრობს შვილების ცნებასა და მნიშვნელობაზე რომაულ სამართალში და განიხილავდა შვილად აყვანას, როგორც მშობლების ძალაუფლების დამყარებას სხვის შვილებზე ნათესაობის მსგავს ურთიერთობათა წარმოშობასთან ერთად. შვილად აყვანის ძირითად დანიშულებას კი წარმოადგენდა ოჯახისთვის ვაჟის აუცილებელ ყოლას. რომის სამართალში ფეხმოკიდებულმა ამ ინსტიტუტმა კვალი დაამჩნია კანონმდებლობის განვითარებას მათ შორის გარკვეულწილად საქართველოში ჩამოყალიბებულ სამართალზეც. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში შვილად აყვანის განვითარების ისტორია ძირითადად უკავშირდებოდა საოჯახო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორიც არის ანდერძის ინსტიტუტი, რასაც ამოწმებს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში შემონახული კანონმდებლის დადგენილება შვილებული სიძის შესახებ.[1] დროთა განმავლობაში კანონმდებლობის ცვლილებამ დადებითად ჰპოვა ასახვა და მისი ამოსავალი წერტილი მაინც ბავშვის ინტერესები იყო. კანონმდებლობის ცვლილებამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა შეიძინა რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

გიორგი ნადარეიშვილი ძველი ქართული საოჯახო სამართლის სახელმძღვანელოში შვილობილობის ინსტიტუტზე აღნიშნავს, რომ შვილად აყვანა ძველ აღმოსავლეთში ორი სახისა იყო და ორ სხვადასხვა მიზანს ისახავდა: სახლში მუშა-ხელის ან მემკვიდრის შემოყვანას, რომელსაც მშობლების გარდაცვალების შემდეგ კულტი და საგვარეულო ღმერთები უნდა დაეცვა,

[1] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“ თბ., 2004. გვ. 295-305

და ამით ძველების რწმენით გვარის გარდაცვლილი წევრებისთვის უზრუნველეყო საიქიო ცხოვრება. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ხშირად „ შვილობილობის“ ჰუმანური აქციის საფარველ ქვეშ სასტიკი მონური ექსპლუატაცია იმალებოდა. კანონმდებლობა ავალდებულებდა მებატონეს რომ შვილად ამყვანის სიკვდილის შემდეგ მას არ მოეშალა მისი ანდერძი და შვილებული პირისათვის შეენარჩუნებინა ანდერძით დატოვებული „მამული“ და „ქონება“. ცხადია ამისთვის მას გარკვეული სამსახური და ბეგარა უნდა შეესრულებინა.[2]

შვილად აყვანის სამართლებრივ რეგულირებაზე საუბარია, პროფესორ რომან შენგელიას და ეკატერინე შენგელიას სახელმძღვანელოში. აღსანიშნავია, რომ შვილად აყვანა განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობს მშვილებელსა და ნაშვილებს შორის, შვილად აყვანის ინსტიტუტის ძირითადი მიზანია არასრულწოვანი პირებისთვის აღზრდისა და რჩენის ნორმალური პირობების შექმნა, კანონი უშვებს არა მარტო არასრულწლოვანის, არამედ სრულწლოვანი პირის შვილად აყვანასაც გამონაკლის შემთხვევებში.[3] საუბარია ასევე სასამართლოს როლზე ამ ინსტიტუტის უკეთ ფუნქციონირებისათვის. იმაზე თუ კანონმა როგორ განსაზღვრა ასაკობრივი სხვაობა მშვილებელსა და ნაშვილებს შორის, ვის აქვს შვილად აყვანის უფლება და როგორია სტანდარტები რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს შვილად აყვანის მსურველი პირი, სასამართლომ კი ყოველი ასეთი საქმის განხილვისას ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, შეესაბამება თუ არა შვილად აყვანა ბავშვის აღზრდის ინტერესებს და ხომ არ იქნება მშვილებლის მხრიდან ანგარების გამოვლენის შესაძლებლობა. შვილად აყვანა როგორც იურიდიული ფაქტი, ნაშვილებისთის იწვევს განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს, ეს გამოიხატება იმაში, რომ წარმოიშობა ახალი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობა ნაშვილების მონაწილეობით და თავისი შედეგებით უთანაბრდება სისხლით ნათესაობას.[4] საუბარია ასევე შვილად აყვანის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებზე.

პროფესორი რ. შენგელია თავის სახელმძღვანელოში ასევე საუბრობს შედარებით ახალი ინსტიტუტის მინდობით აღზრდის ანუ „ შვილობილობის“ საკითხზე. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს და ცალკეულ ოჯახებს შორის დაიდოს ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ხდება ბავშვის ოჯახისთვის გადაცემა მოსავლელად და აღსასზრდელად. მასში სრულყოფილადაა ასახული, ერთი მხრიც, სახელმწიფოს პრიორიტეტული მიზნის-ბავშვის

[2] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „სამთავისი“ 1996, გვ. 135-136
[3] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 253-255
[4] იქვე, გვ. 276

ოჯახურ გარემოში აღზრდის ურუნველყოფისა და მეორე მხრივ, დაიტერესებულ პირთა აღმზრდელობით-შრომით საქმიანობაში ჩაბმის შესაძლებლობა.[5]

საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში „დიპლომატია და სამართალი“ მარიამ გოგოლაძე წერს მინდობით აღზრდის არსზე, რომელიც გულისხმობს სახელწმიფოს მხრიდან ზრუნვის ფორმას, რომელიც მიახლოებულია ოჯახურ მზრუნველობასთან და მიზნად ისახავს დროებით ოჯახურ გარემოში მინდობით აღსაზრდელის მოვლას და აღზრდას. ბავშვის მინდობით აღზრდის თაობაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ემსახურებოდეს მისთვის ისეთი სტაბილური ოჯახური გარემოს შექმნას, რომელიც ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. სახელმწიფოს უპირველესი მიზანი რეინტეგრაციაა, მაგრამ როდესაც აღნიშნული ვერ ხერხდება, მინდობით აღზრდის ინსტიტუტი წარმოადგენს ბავშვის ოჯახურ გარემოში ცხოვრების ერთ-ერთ გზას და ასრულებს შუალედური რგოლის ფუნქციას.[6] საუბარია ასევე, კანონში არსებულ იმ ხარვეზებზე რომელიც სრულყოფილად არ არის გაწერილი, კერძოდ: მინდობით აღმზრდელი პირი არ შეიძლება იყოს ის ვისაც განსაზღვრულ მოვალეობათა შესრულების გამო ჩამოერთვა მინდობით აღსაზრდელი. არ არის დასაბუთებული ხელშეკრულების შეწყვეტის კონკრეტული საფუძვლები, რომელსაც ნაშრომის ავტორი ხარვეზად მიიჩნევს. ბავშვის მინდობით აღზრდისას მნიშვნელოვანია ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა, რათა გათვალისწინებული იქნეს მისი ინდივიდუალური მახასიათებლები რათა მოხდეს მისი ხასიათის თავისებურებების შეფასება და შესაბამისი საჭიროებების განსაზღვრა.

პროფესორი ს. ჯორბენაძე საბჭოთა საოჯახო სამართლის სახელმძღვანელოში განიხილავს საბჭოთა სასამართლოების ადრინდელ პრაქტიკას. ბავშვის მუდმივ აღსაზრდელად მიღება იმ მიზნით, რომ გაუთანაბროს ისინი ღვიძლ შვილებს, ითვლებოდა შვილად აყვანად. დღევანდელი კანონმდებლობისგან განსხვავებით საბჭოთა სამართალი უშვებდა მხოლოდ, მცირეწლოვნისა და არასრულწლოვნის შვილად აყვანას. შვილად აყვანის ინსტიტუტის დედა აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვებს, რომლებსაც არ ჰყავთ მშობლები ან/და მოკლებულნი არიან განსაზღვრული მიზეზით მშობლიურ მზრუნველობას ენიჭებოდათ ის, რასაც შვილებისათვის საბჭოთა ოჯახი იძლეოდა. საბჭოთა კანონი უშვებდა რამდენიმე ბავშვის შვილად აყვანის

[5] იქვე, გვ. 296-297

[6] ახალი უმაღლესი სასწავლებელი, საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი, თბ., გამომც. „უნივერსალი“, 2018, გვ. 150-151

შესაძლებლობას, მაგრამ ერთი და იგივე ბავშვი არ შეიძლებოდა ორ ან რამდნეიმე პირს ეშვილა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შვილად ამყვანი პირნი ცოლ-ქმარნი არიან.[7]

ლელა ნადიბაიძის ნაშრომში შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემის შესახებ- ნაშრომი მკვეთრად მიჯნავს შვილად აყვანის შესახებ სასამართლო ხელისუფლების აქტის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებს ბავშვთან სისხლისმიერ ნათესაობაზე დამყარებული ურთიერთობებისგან. შვილად აყვანის ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმები ძირითადად პასუხობენ ამ ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე პირობებს და მხოლოდ ცალკეული მათგანი საჭიროებს დაზუსტებას და შევსებას. [8] თავისი სამართლებრივი ბუნებით დეტალურადაა განსაზღვრული მშობლებისა და ნაშვილების უფლება- მოვალეობები და ეს ეყრდნობა იმ უმთავრეს პრინციპს რომელიც გამომდინარეობს შვილად აყვანის საფუძველზე შვილად აყვანილი ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების სრულ გათანაბრებაში შვილად ამყვანის ღვიძლ შვილებთან.

ჟურნალ ცხოვრება და სამართალში ნ. ბოკერია წერს შვილების სამართლებრივ საფუძვლებზე ქართულ სამართალში. შვილების ძირითად პრინციპად და სამართლებრივი მოწესიგებიდან გამომდინარე რა სახისაც არ უნდა იყოს შვილება, იგი უნდა იცავდეს ბავშვის ინტერესებს. ასევე კანონმდებლობა მხედველობაში იღებს იმასაც, რომ სათანადოდ მოხდეს მშვილებლების პიროვნების შერჩევა. ბოკერია აღნიშნავს, რომ შვილება რომ განხორციელდეს აუცილებლად უნდ აიქნეს გათვალისწინებული როგორც ბავშვის, ასევე მშობლების ჯანმრთელობის მდგომარეობა. ასევე რა ნეგატიური ხასიათის ნიშნები აქვთ ბავშვის სისხლისმიერ მშობლებს, რომლებმაც ეს ბავშვი მიატოვეს. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა იყოს დაშვებული ახალ ოჯახში ბავშვის გადაცემა, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სერიოზულად დარღვეულია. [9]

საერთაშორისო გაშვილებაზე საუბარია ჰააგის კონვენციაში და ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან პრიორიტეტულ ამოცანად დაისახონ სათანადო ზომების მიღება ბავშვის საკუთარ ოჯახში აღსაზრდელად. აღიარებენ რომ საერთაშორისო გაშვილება ბავშვს ანიჭებს უპირატესობას, რომელიც დაკავშირებულია მუდმივი ოჯახის არსებობასთან, თუ

---

[7] ს. ჯორბენაძე, საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბ., 1957, გვ.323-325

[8] ლ. ნადიბაიძე, შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემები, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1998, გვ. 3-6

[9] ნ. ბოკერია, შვილების (შვილად აყვანის) სამართლებრივი საფუძვლები ქართულ სამართალში, ჟურნალი. „ცხოვრება და სამართალი“, თბ., 1998, გვ. 80-83

ასეთი ოჯახი ვერ გამოიძებნა იმ ქვეყანაში, რომელშიც იგი დაიბადა.[10] ითვალისწინებენ რომ გატარებულ იქნეს ყველა ზომა, რათა საერთაშორისო გაშვილება მოხდეს ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებით და მათი ძირითადი უფლებების დაცვით, რათა აცილებულ იქნეს ბავშვთა გატაცების, გაყიდვის ან ბავშვებით ვაჭრობის ფაქტები. ასევე საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის“ შესახებ მე-4 თავში განხილულია საერთაშორისო შვილად აყვანის საკითხი.

საერთაშორისო გაშვილებაზე საუბარია ასევე პროფესორი რ. შენგელიას სახელმძღვანელოში სადაც აღნიშნულია რომ სწორედ საერთაშორისო კონვენციების მიღებამ საქართველოში საფუძვლად დაუდო შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფას. საქართველოდან გაშვილება დაიშვება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და კანონით მკაცრად განსაზღვრული პირობების არსებობისას. საქართველოდან უცხო ქვეყანაში ბავშვის გაშვილება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ბავშის ზრუნვის ალტერნატიული ფორმა, თუ არ შეიძლება ბავშვი დაუბრუნდეს ბიოლოგიურ ოჯახს ან შვილად იქნეს აყვანილი საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ და მისი გაშვილება შეუძლებელია. ამ პირობების ერთდროულად არსებობაა აუცილებელი რათა მოხდეს საერთაშორისო გაშვილება. უცხოელი მშვილებელი უნდა აკმაყოფილებდეს საქარართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და აღრიცხული უნდა იყოს ცენტრალურ რეესტრში. [11]

საქართველოში ბავშვი შვილად აყვანასთან დაკავშირებული პრობლემის სამართლებრივი ანალიზზე ყურადღება აქვს გამახვილებული ო. ხუციშვილს და გ. თუმანიშვილს ნაშრომში, სადაც განხილულია საკანონმდებლო დონეზე საკითხის სწორი რეგულირების გზები. პრობლემად იყო ის საკითხი, რომ ადამიანებს წლების განმავლობაში უწევდათ ლოდინი, რათა ოფიციალური უწყების დახმარებით ბავშვი შვილად აეყვანათ. მართალია ახალი კანონის ცვლილებებმა შვილად აყვანის პროცესი გაამარტივა, მაგრამ პრობლემა პრობლემად დარჩა. ნაშრომში წამოჭრილია პრობლემური საკითხი თუ რამდენხანში ერთხელ უნდა ნახოს ბავშვი მშობელმა და რა შემთხვევაშ უნდა ჩამოერთვას მას მშობლის უფლება და ბავშვს მიენიჭოს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი. ასევე განხილული სხვა პრობლემური საკითხები რომელზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

---

[10] ჰააგის, 1993 წლის 29 მაისის კონვენცია ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, გვ. 2

[11] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 293-294

თავი II. შვილების ცნება და მნიშვნელობა

2.1. შვილება

შვილება ძველ ქართულ საოჯახო სამართალში ერთ-ერთ უძველეს ინსტიტუტს წარმოადგენს, ეს უპირველესად განპირობებული იყო იმით, რომ მას დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მშობლის მზრუნველობამოკლებული ბავშვთა ინტერესების დაცვა და ბავშვებისთვის იმავე პირობების შემქნა, რაც მათ ექნებოდათ მშობლიურ გარემოში, ოჯახში ცხოვრებისას, რაც ყოველთვის წარმოადგენდა ქყვენისთვის მნიშვნელოვან ამოცანას. [12]

სამოქალაქო კოდექსში მნიშვნელოვნად შეიცვალა შვილად აყვანის მარეგულირებელი ნორმების შემადგენლობა, შვილების წესი და ასევე ის სამართლებრივი შედეგი, რაც არეგულირებს შვილად აყვანის წესს სასამართლო წარმოების წესით. მიღებული იქნა ასევე ახალი საკანონმდებლო აქტი, რომლიც შვილებასთან ერთად ითვალისწინებს მზრუნველობამოკლებული ბავშვების ინტეგრირების კიდევ ერთ ფორმას- მინდობით აღზრდას.[13] „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის“ შესახებ კანონის ცალკე შემოღების მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების განხორციელებას, რაც ითვალისწინებს ასევე ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდისას. შვილად აყვანის ინსტიტუტის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ არასრულწლოვანი პირებისთვის აღზრდისა და რჩენის ნორმალური პირობების შექმნას, რომლებიც დაობლდნენ და არ აქვთ მათ მშობლებს შვილების აღზრდისა და რჩენის ჩვეულებრივი პირობები.

შვილად აყვანა (შვილება) იურიდიული ფაქტია, რომელიც შვილად ამყვანსა და ნაშვილებს შორის წარმოშობს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორის არსებობს. [14] შვილად აყვანის შედეგად, არა მხოლოდ იურიდიული, არამედ რეალური მჭიდრო ურთიერთობები წარმოიქმნება, რომლის შექმნა შვილად აყვანის მთავარი მიზანია. შვილად აყვანის მიზანია ნათესაობის დამყარება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მშვილებელსა და

---

[12] file:///C:/Users/User/Desktop/%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D/143-406-1-PB.pdf ;

[13] მ. მამულაშვილი, შვილად აყვანა (შედარებით სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2014, გვ. 5

[14] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 253

შვილად აყვანილ პირს არ აკავშირებდათ მანამდე. სისხლის ნათესავებს შორის ურთიერთობა არ განსხვავდება ადამიანებს შორის მუდმივი ურთიერთობებისგან, რომელიც წარმოიქმნება შვილად აყვანის დროს, თუმცა ცხადია, რომ ეს არ არის დაფუძნებული ბუნებრივი ბიოლოგიური წარმოშობის ფაქტზე.[15]

როგორც ვხედავთ კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ შვილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა სწორედ ისეთი ურთიერთობა, როგორიც არის მშობლებსა და მათ შვილებს შორის. ვინაიდან ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა ემსახურება მისი საუკეთესო ინტერესების დაცვას და ნებისმიერი გადაწყვეტილება ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებით უნდა ემსახურებოდეს ისეთი სტაბილური გარემოს შექმნას, რომელიც ეფუძნება სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ზრდასრულ ადამიანს, რომლებიც არ არიან ბიოლოგიური მშობლები, შეუძლიათ აიყვანონ ბავშვი სრულყოფილი ოჯახის შემქნის მიზნით.

საგულისხმოა, რომ დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი, ადრე მოქმედი საქორწინო-საოჯახო კოდექსისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად ცვლის შვილად აყვანის პროცედურებთან დაკავშირებულ რამდენიმე ასპექტს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის ნორმა, რომლის თანახმადაც შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას მშვილებლის განცხადებით იღებს სასამართლო. შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს განცხადებით შეიძლება მიმართოს, როგორც მეუღლეებმა ერთობლივი განცხადების საფუძველზე, ასევე შვილად აყვანის მსურველმა სხვა პირებმაც.[16]

კანონი უშვებს არა მარტო არასრულწლოვანის, არამედ სრულწლოვანი პირის შვილად აყვანას. ასეთი შემთხვევები გამონაკლისი სახით არსებობ. მას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია.[17]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მოითხოვს, რომ შვილება (შვილად აყვანა) დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისთის, თუკი

---

[15] Веберс Я. Р. сущность усыновления и его правовйе последствия. правоведение. 1996. с. 57-58

[16] ნ. ბოკერია, შვილების (შვილად აყვანის) სამართლებრივი საფუძვლები ქართულ სამართალში, ჟურნალი. „ცხოვრება და სამართალი“, თბ., 1998, გვ. 22

[17] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 254

მოსალოდნელია, რომ მშობლებსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და ნაშვილებს შორის.[18] კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ უპირატესად მიიჩნევს ბავშვისთვის სტაბილური ოჯახური გარემოს შექმნას, თუმცა შვილება მშვილებლის ინტერესებსაც პასუხობს, რადგან იგი აძლევს მას მშობლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიახლეს, ბავშვის საუკეთესო ინტერესების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფის მიზნით, წარმოადგენს განსაზღვრულ დანაშაულისთვის ნასამართლევ პირთათვის შვილად აყვანის უფლების შეზღუდვა, მიუხედავად მათთვის ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. გარდა, ზემოაღნიშნული პრინციპული ხასიათის სიახლეებისა, ითვალისწინებს აგრეთვე სხვა მრავალი საკვანძო საკითხის გადაწყვეტას შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სფეროში.[19]

შვილად აყვანა, რადგან იგი მშვილებლისა და ნაშვილების ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად, სახელმწიფოებრივ კონტროლს ექვემდებარება. შვილება არ ნიშნავს მშვილებლის მხოლოდ შესაბამისი ნების გამოვლენას და ბავშვის მიმართ ფაქტობრივი ზრუნვის განხორციელებას. აუცილებელია, რომ ასეთი ურთიერთობა იურიდიულად იქნეს გაფორმებული, რაც ხდება სასამართლო გადაყწვეტილების გამოტანით. განცხადება შვილად აყვანის შესახებ მშობლებმა უნდა შეიტანონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და წარადგინონ დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს მონაცემებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის, პირის მსჯავრდების/ნასამართელობის, შვილად აყვანის მსურველი პირის მიერ სავალდებულო მოსამზადებელი კურსის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე ის მოთხოვნები რაც აუცილებელია შვილად აყვანის მსრველთა განცხადების/დოკუმენტაციისთვის. ამ საკითხთან დაკავშირებით კუზმიჩევა მიიჩნევს, რომ შვილად აყვანა კანონიერად ეკვივალენტურია თანამონაწილეობისა, როგორც მშობელთა სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი, მისი აზრით, განსაკუთრებული თვისებების არსებობა შვილად აყვანის პირობებში, შეწყვეტის მეთოდების ზოგიერთ შედეგებზე არ იმოქმედებს მის მიერ წარმოშობილ მშობლის სამართლებრივ ურთიერთობაზე. ამავე დროს იგი აღნიშნავს, რომ კანონი მხოლოდ ითვალისწინებს სოციალურად მნიშვნელოვან მხარეს, რის შედეგადაც ხდება შვილად აყვანა ამ ბავშვებისა და შვილად ამყვანის ურთიერთობებით. ასევე აღნიშნავს, რომ შილად აყვანა, როგორც

[18] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 1239

[19] http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/iuridiul-sakitxta-komiteti-146/komitetis-saqmianoba-iuridiuli/komitetis-sxdomebi1112/sxdomis-oqmi-n1311.page ;

სამართლებრივი აქტი, განიხილება როგორც მშობელთა სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი.[20]

გასაშვილებელი ბავშვია 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც აღრიცხულია გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიან რეესტრში. გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება ბავშვს, რომლის მშობელიც სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა, რომელიც არის ობოლი, სასამართლოს მიერ მიტოვებულადაა აღიარებული, სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება, რომლის კანონიერმა წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა მის გაშვილებაზე. ბავშვი რეესტრში აღრიცხვიდან, რომელსაც ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო, მოიხსნება, მხოლოდ შვილად აყვანის, გარდაცვალების, გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის შეცვლის ან არასლრულწლოვნების მიღწევის შემთხვევაში.

ცნობილია, რომ მშობლების არარსებობის შემთხვევაში, შემცვლელი პირები ზრუნავენ ბავშვებზე და მათი არყოფნის შემთხვევაში ბავშვები მიეკუთვნებიან იმ პირთა კატეგორიას, რომლებმაც დაკარგეს მშობლის მზრუნველობა. მშობლის მზრუნველობის დაკარგვა ფართო კონცეფციას ეხება და იგი მოიცავს იმ კატეგორიის ბავშვებს, რომლებმაც მშობლის მზრუნველობა დაკარგეს ობიექტური მზიეზების გამო, როგორიცაა: მშობლის გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, ამ შემთხვევაში მშობლის მოვლის არარსებობა ობიექტური გარემოებების შედეგია და არ ჩნდება ოჯახის იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი, ობიექტური ხასიათის მიზეზების გარდა არსებობს ასევე სუბიექტური მზიეზებიც (კერძოდ, მშობლის მხრიდან მშობლის უფლებების განხორციელების უუნარობა შვილთან მიმართებაში, მათზე ალკოჰოლი და ნარკოტიკული საშუალების ბოროტად გამოყენება და ა.შ.) რაც არ უნდა იყოს მიზეზი, მზრუნველობა მოკლებულ ბავშვს სჭირდება სამართლებრივი დაცვა.[21]

გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიანი რეესტრის შემოღებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სახელწიფოს მაკონტროლებელი როლი შვილად აყვანისა და გაშვილების სფეროში და გაფართოვდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ფუნქციები. გასაშილებელი ბავშის სტატუსის მინიჭებამდე ზოგერთი კატეგორიის ბავშვს კანონით განსაზღვრული ეტაპები აქვთ გასავლელი. ნაპოვნ ბავშვს უნდა მიენიჭოს მიტოვებული ბავშის სტატუსი. ნაპოვნად ითვლება 18 წლამდე ასაკის უცნობი პირი მისი აღმოჩენის მომენტიდან ვინაობის დადგენამდე, ასეთი ბავშების დროებითი განთავსების საკითხს წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი

[20] Лузьмичева Л. А. усыновленне по семейному праву: автореф. Харйков, 1976. с. 6-7
[21] Нуфаев В. детское право, его предмет и объем. право и жизнь. 1926. с 60-62

ორგანო, რომელიც საჭირო ინფორმაციის მოპოვების მიზნით მიმართავს ადგილობრივ შინაგან საქმეთა ორგანოს. [22] ამ ორგაონებს ევალებათ განახორციელონ ყველა ღონისძიება ამ ბავშვის, ან მშობლის ვინაობსი დასადგენად. ბავშვი მიტოვებულად აღიარებას ექვემდებარება თუ: ბავშვის პოვნიდან 6 კვირის ვადაში შესაბამისმა ორგანოებმა მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ვერ დაადგინეს ამ ბავშვის ვინაობა, ან/და მშობლის ვინაობა, ან დადგინდა ვინაობა, მაგრამ ის თავს არიდებს მშობლის უფლების განხორციელებას და არ გამოცხადდა შეტყობინებიდან 7 დღის ვადაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში ან მასთან დაკავშირება შეუძლებელია. ასევე იმ შემთხვევაში თუ ბავშვზე სახელწმიფო ზრუნვის ხანგრძლივობა აღემატება სამ თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მშობელს აქვს არასათანადო ჯანმრთელობის დმგომარეობა, იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში ან ბავშვის მშობელს შეზღუდული ან შეჩერებული აქვს მშობლის უფლება- მოვალეობები. ასევე თუ მშობელი არასაპატიო მიზეზით არ იჩენს სისტემატურ ყურადღებას ბავშვის მიმართ და ცნობილია მისი საცხოვრებელიც, ამ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო აფრთხილებს მშობელს, რომ უყურადღებობის გამო ბავშვი შეიძლება მიტოვებულად აღიარონ ან გააშვილონ. თუ გაფრთხილებიდან 2 თვის ვადაში კვლავ იგივე მდგომარეობაა მეურვეობსა და მზურნველობის ორგანო ვალდებულია დააყენოს საკითხი ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ და ასევე მშობლის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის საკითხი. ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადების მიმართვის საფუძველზე.

2.2. შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგები

როგორც უკვე აღვნიშნეთ სახელწმიფოს პოლიტიკა და მისი ძირითადი მიზანია, რომ ბავშვი აღიზარდოს ოჯახურ გარემოში, მაგრამ ბავშვის შვილად აყვანის თემა საქართველოში ყოველთვის ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული, რის გამოც წლების განმავობაში უწევდათ ლოდინი ოჯახებს.[23] ქართული კანონმდებლობა ბავშვის უპირატეს უფლებას უგულვებელყოფს

[22] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 264

[23] ო. ხუციშვილი, გ. თუმანიშვილი, საქართველოში ბავშვის შვიილად აყვანასთან დაკავშირებული პრობლემების სამართლებრივი ანალიზი, თბ., 2010, გვ. 7

ბიოლოგიური მშობლების სასარგებლოდ და თუ მშობელი უარს აცხადებს ბავშვის გაშვილებაზე ბავშვი ვერ გაშვილდება. კანონი მეუბნება, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესი და იგი უნდა აღიზარდოს ოჯახურ გარემოში, მაგრამ არის თუ არა გამართლებული ბავშვის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან უარი ბავშვის გაშვილებაზე, მით უმეტეს თუ არ იჩენს ყურადღებას ბავშვის მიმართ თვეების განმავლობაში. აღნიშნული კი ბავშვის პიროვნების სრულ და ჰარმონიულ განვითარებას უშლის ხელს.[24]

შვილად აყვანის საფუძველზე განსაზღვრული სამართელბრივი ურთიერთიბა მყარდება მშვილებელსა და ნაშვილებს შორის. ეს ურთიერთობა თავისი შინაარსით იგივეა, რაც მშობელსა და შვილს შორის არსებობდა. ამ ზოგად დებულებას კანონი აკონკრეტებს მეუღლეთა უფლება-მოვალეობების მოცულობის გათვალისწინებით. თუ მეუღლეები ერთად იშვილებენ ბავშვს , ბუნებრივია მათ ნაშვილების მიმართ ერთნაირად უნდა წარმოეშვათ მშობლის უფლება-მოვალეობები, მაგრამ როცა ერთ-ერთი მათგანი იშვილებს მეორე მეუღლის შვილს, მხოლოდ მას წარმოეშობა ასეთი უფლება-მოვალეობანი, რადგან მეორე მეუღლეს უკვე გააჩნია ასეთი უფლება-მოვალეობა. ორივე შემთხვევაში ნაშვილები იძენს მშვილებლებს შორის ქორწინების პირობებში გაჩენილი შვილის სამართლებრივ მდგომარეობას. თუმცა არ შეიძლება იგივე სამართლებრივი მდგომარეობა ქონდეს ბავშვს, რომელიც ქორწინების გარეშეა გაჩენილი და იშვილა ქორწინებაში მყოფმა ერთ-ერთმა მეუღლემ. ასეთ შემთხვევაში მეორე მეუღლის მიმართ ნაშვილებ ბავშვს გერის სამართლებრივი მდგომარეობა გააჩნია.[25]

შვილად აყვანის ინსტიტუტმა რომ თავისი დანიშნულებისამებრ იფუნქციონიროს, აუცილებელია მშობელსა და ნაშვილებს შორის ასაკობრივი სხვაობის განსაზღვრა. მშვილებელსა და გასაშვილებელს შორის ასაკობრივი სხვაობა არ უნდ აიყოს 16 წელზე ნაკლები, თუმცა საპატიო მიზეზის არსებობისას შესაძლებელია სასამართლომ შეცვალოს ასაკობრივი სხვაობა. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება დედინაცვალ-მამინაცვლისა და გერის ურთიერთობაზე. ამ ასაკობრივი ზღვარის დადგენა თავიდან აგვაცილებს ისეთ პრობლემას როგორიცაა თუნდაც 25 წლის სრულწლოვნის მიერ 15 წლის არასრულწლოვნის შვილად აყვანა, რადგან აქ უკვე გამორიცხულია აღზრდისა და მშობლის ზრუნვის განხორციელების შესაძლებლობა. კანონის ჩანაწერი მშვილებელსა და 10 წლამდე ასაკის გასაშვილებელ ბავშვს შორის მაქსიმალურ ასაკობრივ ზღვარს გვიწესებს 49 წელს,

[24] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2003 წლის 28 თებერვლის განჩინება, „ბავშვის ნახვის უფლება“, № 1349-02

[25] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 260-261

ვფიქრობ რომ ეს 49 წლიანი სხვაობა არა მხოლოდ 10 წლამდე ასაკის ბავშვებზე არამედ იმ ბავშვებზეც უნდა ვრცელდებოდეს რომელბიც უკვე ამ ასაკს გასცდნენ.

კანონით დაწესებული მინიმალური ასაკობრივი სხვაობა სასამართლომ შეიძლება კიდევ უფრო შეამციროს, თუ ამისთვის რაიმე პატივსადები მიზეზი არსებობს. მაგალითად, შესაძლებელია 5 ან 8 წლის ობლად დარჩენილი ბავშვის შვილად აყვანაზე სასამართლო დასთანხმდეს 20 წლის დეიდას, თუ ბავშვს სხვა ახლო ნათესავები არ ყავს და შვილად აყვანის მსურველი აქტიურად მონაწილეობდა დისშვილის აღზრდაში. სასამართომ ყოველი ასეთი საქმის განხილვისას ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, შეესაბამება თუ არა შვილად აყვანა ბავშვის აღზრდის ინტერესებს და ხომ არ იქნება მშვილებლის მხრიდან ანგარების გამოვლენის შესაძლებლობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იმსაუხრებს თურქეთის კანონმდებლობა, რომელიც სამოქალაქო კანონის შვილად აყვანის შესახებ ითვალისწინებს შვილად ამყვანისათვის მკაცრად დადგენილ მინიმალურ ზღვარს 35 წლის ასაკით. ზედა ზღვარი არ არის შეზღუდული. თურქეთის კანონმდებლებმა აღნიშნული ასაკის განსაზღვრას საფუძვლად დაუდეს ასაკის მოწიფულობა, რომ შვილის ყოლისა და შვილად აყვანის ინსტიტუტის მფარველობის ქვეშ მყოფნის მსურველს და ამავე დროს, ქორწინების წინააღმდეგ მყოფ ახალგაზრდებს მისცემოდათ უშვილობის ადვილად გადაჭრის შესაძლებლობა, არარეგისტრირებული ქორწინების გარეშე ბავშვების ყოლის შემთხვევაში, მშობლისათის შვილად აყვანის გზის დახურვით მაქსიმალურად გვიან მიეცათ მემკვიდრეობის უფლება, შვილად აყვანა არ აღმოჩნდეს მოწიფულობსი ასაკს ჯერ არ მიღწეულ მშვილებლისა და ნაშვილებებს შორის არაჯანსაღი და არაზნეობრივი ურთიერთობებისათვის. ამგვარად 35 წლის ასაკამდე შვილად აყვანის მსურველთათვის ამ უფლების გამოყენება აკრძალულია. ასაკობრივ ცენზთან ერთად თურქეთის კანონმდებლობა აწესებს, რომ მშვილებელი შვილად ასაყვანზე უნდა იყოს არა უმცირეს 18 წლით უფროსი. ამით ნათელია კანონმდებლობის მცდელობა, რაც შეიძლება ბუნებრივი სახე ჰქონდეს შვილად აყვანით შექმნილ ურთიერთობებს. სულ მცირე 18 წლით ასაკობრივ სხვაობას ზნეობრივი საფუძვლებიც აქვს. ამ გზით ნავარაუდევია მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ინტიმური ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობების ნაწილობრივ აღკვეთა. [26]

საგულისხმოა, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობ, ადრე მოქმედი საქორწინო-საოჯახო კოდექსისგან განსხვავებით, მნიშნელოვნად ცვლის შვილად აყვანის პროცედურასთან

[26] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“ თბ., 2004. გვ. 308-309

დაკავშირებულ რამდენიმე ასპექტს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის ნორმა, რომლის თანახმადაც[27] შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სასამართლოში განცხადების შეტანის გზით.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა სრულიად მართებულია, ვინაიდან ამ დარგში საქმიანობის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ აღნიშნული ორგანოები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ შვილად აყვანას ისე, რომ დაცული იყოს ბავშის ინტერესები. მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები ეყრდნობა მხოლოდ შაბლონურ დოკუმენტაციას, რომელის უკანაც მდგარი ბავშის ინტერესები არ იყო გათვალისწინებული და შეფასებული, როგორც მას მოითხოვდა ამ აქტის მორალური და ზნეობრივი მხარე. შესაბამისად აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება დაევალა სასამართლოებს, რომლებიც საფუძლიანად, კანონზე დაყრდნობით შეძლებენ უფრო ღმრად შეისწავლონ შვილად აყვანასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და მიიღონ კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება ბავშის ინტერესებიდან გამომდინარე. სასამართლოს აქვს პროცესუალურად მეტი შესაძლებლობები საფუძვლიანად და დეტალურად მოახდინოს საკითხის ირგვლივ არსებითი ხასიათის მტკიცებულებათა შესწავლა და ანალიზი.

მშობლისა და შვილების ორმხრივი უფლებები და მოვალეობები ეფუძნებიან ბავშვების, კანონით დადგენილი წესით წარმოშობას. ან გამომდინარეობენ სათანადოდ განხორციელებული შვილად აყვანიდან.[28] შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს განცხადებით შეიძლება მიმართონ როგორც მეუღლეებმა ერთობლივი განცხადების საფუძველზე, ასევე შვილად აყვანის მსურველმა სხვა პირებმაც. შვილად აყვანის მსურველ პირს უფლება აქვს შესაბამისი თხოვნა შეიტანონ როგორც საკუთარი, ასევე ბავშის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაყვეტილება ბევრად არის დამოკიდებული ბავშვის მშობლების სურვილზე. თუ ბავშვს ყავს მშობლები და მათ არ აქვთ ჩამორთმეული ან შეზღუდული მშობლის უფლება-მოვალეობები, თანხმობას ბავშვის გაშვილებაზე ისინი გამოხატავენ წერილობითი ფორმით. განცხადებას შვილის გაშვილების თაობაზე მშობელი წარუდგენს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. იმ შემთხვევაში, თუ მშობლები (ან მშობელი) სხვაგან

[27] ლ. ნადიბაიძე, შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემები, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1998, გვ 22

[28] Кузьмичева Л. А. усыновленне по действуюшему семейному законодатеьству. паравоведение 1993, с. 109

ცხოვრობენ, მაშინ წერილობითი თანხმობა დამოწმებული უნდა იქნეს დადგენილი წესით. როცა გამშვილებელი მარტოხელა მშობელია, საკმარისია მხოლოდ მისი თანხმობა. [29]

მშობელი ბავშის გაშვილებაზე თანხმობას ჩვეულებრივ, იძლევა იმ შემთხვევაშ, როცა დარწმუნებულია იმაში, მშვილებელთან ბავშვის აღსაზრდელად უკეთესი პირობები არსებობს და მის მომავალს ცუდი არაფერი ემუქრება. მაგრამ შეიძლება შეიქმნას ისეთი მდგომარეობაც, როცა ბავშის საჩქაროდ გაშვილება ბავშის ინტერესების უკეთ უზრუნველყოფისთვისაც და მშობლების შემდგომი ცხოვრებისთვისაც აუცილებელია და ერთადერთ გამოსავალს წარმოაგდენს. ბავშვის გაშილებაზე მშობლის თანხმობის შინაარსი გულისხმობს მისი უკან გამოთხოვის შესაძლებლობას, ოღონდ სასამართლოს მიერ შვილებაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე. თანხმობის მიცემიდან მის გამოთხოვამდე შესაძლოა გასული იყოს გარკვეული პერიოდი და მშობელს გადამოწმებული ჰქონდეს თავისი პოზიცია და დარწმუნებულიყო ბავშის გაშვილების არამიზანშეწონილობაში. ასეთ შემთხვევაში მშობლის თანხმობის უკან გამოთხოვა უდაოდ უნდა გახდეს შვილად აყვანაზე უარის თქმის საფუძველი. ამიტომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ მშობლების განცხადების საფძველზე უნდა შეცვალოს თავისი დასკვნა და მოითხოვოს სასამართლო პროცესის შეჩერება.

ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვი, თუ იგი დედასთან ცხოვრობს , შეიძლება დედის თანხმობით იშვილოს დედის მეუღლემ ან სხვა პირმა. ასეთი თანხმობისთვის კანონი ითვალისწინებს წერილობით ფორმას, რაც დედამ უნდა გასცეს ბავშვის დაბადებიდან ექსვი კვირის შემდეგ. თუ ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვის შვილება სურს სხვა პირს, იგულისხმება, ასეთი ბავშვის მამამ უარი თქვა შვილის ნებაყოფილობით აღიარებაზე და არც სასამართლოს უმსჯელია მამობის იძულებით დადგენის შესახებ.

ბავშვის გაშვილება შეიძლება მოხდეს მშობლის თანხმობის გარეშეც, ეს ისეთი შემთხვევებია, როცა თანხმობის მიღება ფაქტობრივად შეუძლებელია ან თანხმობის მიღებას არავითარი იურიდიული მნიშნელობა არ გააჩნია. კანონი ზუსტად განზასღვრავს მშობლების თანხმობის გარეშე ბავშვის გაშვილების საფუძვლებს. ესენია: 1. მშობლის გამოცხადება უგზო-უკვლოდ დაკარგულად, 2. მშობლისათვის მშობლის უფლება-მოვალეობათა ჩამორთმევა, 3. ბავშვის მიტოვებულად აღიარება.[30] პირველი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მშობლის მონახვა

[29] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 269-270

[30] საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, მ. 12

შეუძლებელია, მას თავის შვილთან გაწყვეტილი აქვს ყოველგვარი კავშირი, ფაქტობრივად არ ზრუნავს შვილზე და შესაბამისად არცაა საჭირო მისი თანხმობა. მეორე გარემოების არსებობა ადასტურებს იმას, რომ ბავშის აღზრდის პროცესში მშობელი იმდენად ხშირად და ბრალეულად არღვევდა მშობლიურ უფლება-მოვალეობებს, რომ აუცილებელი გახდა მათი ჩამროთმევა. მსგავს შემთხვევებში სამართლებრივი კონტაქტი მშობელსა და შვილებს შორის გაწყვეტილია არა დროებით არამედ განუსაზღვრელი ვადით, შესაბამისად მისი თანხმობა ბავშვის გაშვილებაზე არაფერს ცვლის. მესამე საფუძველი ამ ორისგან განსხვავებით მარტივია. მშობელმა უარყო თავისი შვილი, მიატოვა იგი და თავი აარიდა მშობლიურ უფლება-მოვალეობათა შესრულებას. ამიტომ საჭირო არ არის მოხდეს ასეთი მშობლის მოძებნა და მისგან თანხმობის მიღება. აღნიშნული საფუძვლების გარდა მშობლის თანხმობას გაშვილებისას, თავისთავად გამორიცხავს ბავშვის ობლობას.[31]

ბავშვის გაშვილებისას მისი სურვილი ათი წლის ასაკამდე არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. კანონი კატეგორიულად კრძალავს შვილად აყვანას, თუ ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვი ამის წინააღმდეგია. თუ ბავშვი ათი წლის ზემოთაა, გაშვილების შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი აზრი, თუ იგი წინააღმდეგია, რომ გაშვილდეს მაშინ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად[32] სასამართლო გაშვილებაზე უარყოფით გადაწყვეტილებას გამოიტანს. თუმცა კანონში არ არსებობს დათქმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს ბავშვი ანუ რამდენად ძალუძს მას დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება. იშვიათია, მაგრამ გამორიცხული არ არის შემთხვევები, როდესაც ბავშვი აჰყავთ ისეთ პირებს, რომლებიც უგულებელყოფენ მის ინტერესებს. ცდილობენ შვილად აყვანით დაიკმაყოფილონ თავისი პირადი ინტერესები. ამიტომ მეტად საყურადღებოა ის საკითხი თუ ბავშვი 10 წლის ასაკში რამდენად რეალურად აღიქვამს იმ მდგომარეობას რომ თანხმობა განაცხადოს გაშვილებაზე ან პირიქით უარი. სწორედ სასამართლომ უნდა დაადგინოს, თანახმაა თუ არა ბავშვი გაშვილებაზე. მართალია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია ამ მხრივ მეტად სასარგებლო მონაცემები შეაგროვოს მაგრამ მათზე დაყრდნობით საბოლოოდ ბავშვის თანხმობის საკითხი მაინც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ბავშვის უშუალოდ მოსმენის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ათ წელს მიღწეული ბავშვი შვილად აყვანის მსურველის ოჯახში ცხოვრობდა და ასეთ პირს თავის მშობლად თვლიდა შვილად აყვანის შესახებ საკითხის

[31] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 273

დაყენებამდე, შვილება შეიძლება შვილად ასაყვანის შესახებ საკითხის დაწყებამდე, შვილება შეიძლება შვილად ასაყვანი ბავშვის თანხმობის გარეშეც. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ამოცანას ამ დროს წარმოადგენს ბავშვსა და შვილად აყვანის მსურველს შორის არსებული ურთიერთობის ნამდვილი სურათის გარკვევა. კერძოდ, მართლა თვლის თუ არა ბავშვი მშობლად იმ პირს, რომელსაც მისი შვილება სურს, არსებობს თუ არა ნორმალური პირობები ბავშვის შემდგომი აღზრდისათვის და სხვ. ამ საკითხის შესწავლისას ბავშვმა ეჭვი არ უნდა შეიტანოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ ჩატარებული გამოკვლევის ნამდვილ მიზანში.

მშვილებლის თხოვნით შეიძლება ნაშვილებს მიეკუთვნოს მისი გვარი. შვილად აყვანისას ბავშვისთვის გვარის გამოცვლა სავალდებულო არ არის. კანონიში ამიტომაა ყურადღება გამახვილებული მშვილებლის თხოვნაზე მისი გვარის ნაშვილებისთვის მიკუთვნების თაობაზე. ისეთ შემთხვევაში, როცა ნაშვილები ბავშვის მშობლები ცნობილი პიროვნებები იყვნენ თავიანთი დამსახურებით, შვილად აყვანის შემდეგ ბავშვს შეიძლება დარჩეს თავისი მშობლის გვარი. უმეტესას კი შვილად აყვანის შემთხვევაში, ნაშვილებს მშვილებლის გვარი ეკუთვნება.[33] იმისთვის, რომ ბავშვის ინტერესები უკეთ იქნეს დაცული სამომავლოდ გამოწვეული უსიამოვნებებისგან თუნდაც იმიტომ, რომ ბავშვი შეიძლება ნაშვილები იქნეს ისეთ პატარა ასაკში, რომ მან თავისი მშვილებელი აღიქვას ნამდვილ მშობლად და შესაბამისად ის საკითხი, რომ ბავშვს შეიძლება დარჩეს ადრინდელი გვარი არასწორია, ისევ ბავშვის უსაფრთხოებიდან და ჰარმონიული ცხოვრების შექმნის პირობებიდან გამომდინარე.

ნაშვილებისათვის ახალი გვარის მიკუთვნების ან სახელის გამოცვლის შესახებ თხოვნა მშვილებელმა უნდა წარუდგინოს სასამართლოს და გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამის გადაწყვეტილებაში. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მოხდეს ცვლილებების შეტანა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. იმ შემთხვევაში თუ, შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი ნაშვილების გვარისა და სახელის შესახებ, მათი გამოცვლის საკითხი შეიძლება მშვილებელმა შემდეგ დააყენოს საერთო წესის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ათ წელს მიღწეული ნაშვილები წინააღმდეგია იმისა, რომ მშვილებლები მშობლებად გატარდნენ სარეგისტრაციო ორგანოში, სასამართლოს გადაყვეწტილებით არ იქნება დაკმაყოფილებული მშვილებელთა შესაბამისი მოთხოვნა. მშობლად

[33] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 275

არ შეიძლება მშვილებლები გატარდნენ მაშინაც, როცა რაიმე ობიექტური მიზეზის გამო სასამართლო უარს ამბობს ნაშვილების ადრინდელი გვარის გამოცვლაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მშვილებლები გატარებული არიან თუ არა ნაშვილების მშობლებად ან ნაშვილები თავის ძველ გვარზე რჩება თუ მას იცვლის, შვილად აყვანილი პირი ყველა შემთხვევაში იძენს პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს როგორც მშვილებლის, ისე მისი ნათესავების მიმართ.

კანონი ასევე ითვალისწინებს შვილად აყვანის საიდუმლოს დაცვას. მისი გამჟღავნება ხელს უშლის ნაშვილების ნორმალური აღზრდას მშვილებლის ოჯახში, ხშირად სერიოზულ ტრავმას აყენებს ბავშვს, გავლენას ახდენს მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ამიტომაც პრაქტიკულ საქმიანობაში აუცილებელი არაა მარტო კანონის ზუსტი დაცვა, არამედ მუშაობის წარმართვა იმგვარად, რომ საჭირო შემთხვევებში შვილად აყვანის საიდუმლო არ გამჟღავნდეს. აქედან გამომდინარე, კანონი მიზნად ისახავს შვილად აყვანის საიდუმლოობის დაცვას, ამიტომ იგი კატეგორიულად კრძალავს განსაზღვრული პირების მიერ შესაბამისი ინფორმაციების გავრცელებას. შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონი შეიცავს დებულებას შვილად აყვანის საიდუმლოობის შესახებ. სადაც მოცემულია, რომ შვილად აყვანის საიდუმლოობის გამჟღავნება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონდმებლობით დადგენილი წესით. მოსამართლე რომელმაც მიიღო შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება, ბავშვის ბიოლოგიური მშობელი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს თანამშრომელი, შვილად აყვანის პროცედურაში მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს შვილად აყვანის პროცედურის განხორციელებას ნებისმიერ ეტაპზე მიღებული ინფორმაცია. სააგენტო უზრუნველყოფს, რომ მშვილებელმა ბავშვის შვილად აყვანამდე სათანადო წესის დაცვით მიიღოს მისი პირადი მონაცემების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ინფორმაცია მისი ბიოლოგიური მშობლის ვინაობის თაობაზე. ასევე ნაშვილებს შეუძლია მიიღოს თავისი ბიოლოგიური მშობლის ვინაობის შესახებ ინფორმაცია მშვილებლისა და ბიოლოგიური მშობლის თანხმობით. სააგენტო ნაშვილებს არ აწვდის ინფორმაციას ბიოლოგიური მშობლის შესახებ თუ: ბიოლოგიური მშობელი წინააღმდეგია, რომ ნაშვილებმა გაიგოს ინფორმაცია, ბავშვის ბილოგიურმა მშობელმა გაშვილების დროს განაცხადა რომ არ სურს ნაშვილებმა ან მშვილებელმა მიიღოს ბიოლოგიურ მშობლებზე

ინფორმაცია. თანხმობა სავალდებულო არ არის, თუ ნაშვილების ბიოლოგიური მშობელი ან მშვილებელი გარდაცვლილია.[34]

ცნობები შვილად აყვანის შესახებ შეიძლება გაიცეს სამართალდამცავი ორგანოების ან სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე და ისიც იმ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მათ წარმოებაში იმყოფება. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის პირი, რომლისთვისაც ცნობილი გახდა შვილად აყვანის ფაქტი, მშვილებლისათვის და ზოგჯერ თავად ნაშვილებისთვის ტრავმის მიყენების ნიშნით, შეგნებულად ამჟღავნებს მის საიდუმლოობას, რაც ყოვლად დაუშვებელია. განსაკუთრებით მიუღებელია ასეთი მოქმედება იმ პირთა მხრივ, რომლებიც სამსახურეობრივი მოვალეობის სახით მონაწილეობას ღებულობენ შვილად აყვანაში. მშვილებლისა და ნაშვილების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონი არა მარტო კრძალავს შვილად აყვანის საიდუმლოობის გამჟღავნებას, არამედ ითვალისწინებს კიდეც შესაბამის პასუხისმგებლობას.[35]

2.3. შვილად აყვანის საკითხი სხვა ქვეყნების მაგალითზე

შვილება რომ განხორციელდეს აუცილებლად უნდ აიქნეს გათვალისწინებული როგორც, ბავშვის ისევე მშვილებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ვინაიდან ზოგიერთი უარყოფითი თვისებები შესაძლებელია მემკვიდრეობით გადაუვიდეს ბავშვს. ამიტომაც არის საჭირო ბავშის ჯანმრთელობის მდგომარეობის გულმოდგინედ შემოწმება.

ჩეხეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროს შემუშავებული აქვს მეთოდური მითითება, სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ ბავშვი, რომელიც გასაშვილებელია უნდა იყოს ფიზიკურად და ფსიქიურად ჯანმრთელი, და ჰქონდეს ნორმალური განვითარებს მონაცემები. ბავშვის ფიზიკური და ფსიქიური მდგომარეობის განსაზღვრისათვის აუცილებელია სისხლისმიერი მშობლების შემოწმება (თუკი ისინი არსებობენ) რათა გამოკვლეულ იქნეს ბავშვის გენეტიკური დეფექტები, ასეთივე წესი მოქმედებდა 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონის „შვილად აყვანის წესის სესახებ“, რომელიც მოითხოვდა შვილად ასაყვანი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას. სამწუხაროდ შვილებას აფერხებს ბავშვის ჯანმრთელობის

[34] საქართველოს კანონი, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, მ. 65

[35] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 281

მდგომარეობის ისეთი დარღვევები, რომლებიც სერიოზულად აქვეითებენ ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებს, ბავშვის შესაძლებლობების უნარს და კარგს არაფერს უქადიან მას მომავალში.[36] მაგალითად ისეთი ავადმყოფობა, როგორიცაა ნერვიული სისტემის დარღვევები, ჭკუასუსტობა, თანდაყოლილი სიფილისი და ა. შ.

ასევე აღსანიშნავია შვილად აყვანის საკითხი სხვა ქვეყნების მაგალითზეც, როგორი ბავშვი უნდა გაშვილდეს და ვისზე უნდა გაშვილდეს.

ბულგარეთი

ჰააგის კონვენციის წევრია ასევე ბულგარეთიც. აქ შვილად აყვანის საკითხები იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაშია, ბავშვი გაშვილდება მხოლოდ მაშინ , თუ ის არის ობოლი, მშობელს ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, მარტოხელა ფსიქიკურად დაავადებული მშობელი ჰყავს. გასაშვილებელი ბავშვი უნდა იყოს 1-დან 17 წლამდე ასაკის, ხოლო უნარშეზღუდული ბავშვი ნებისმიერი ასაკის.

შვილად აყვანის მსურველი ოჯახი თხოვნით მიმართავს იუსტიციის სამინისტროს, სამინისტროს დადებითი პასუხის შემთხვევაში, ოჯახი წარადგენს საბუთებს სმაინისტროში ექვსი თვის განმავლობაში, შეირჩევა ბავშვი. იუსტიციის სამინისტრო სწვალობს პოტენციური მშობლებისა და ასაყვანი ბავშვის დოსიებს, რის შედეგადაც მოხდება სავარაუდო ოჯახის შეხვედრა ბავშვთან.

მშვილებელი უნდა იყოს 25 წლის მაინც. სხვაობა მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უნდა იყოს მინიმუმ 15 წელი მაინც. შესაძლებელია მარტოხელა მშობელმაც აიყვანოს ბავშვი, ამ შემთხვევაში მშვილებლის სქესს მნიშვნელობა არ აქვს. არსებობს შეზღუდვა შვილად აყვანაზე გარკვეული დაავადების მქონე პირთათვის. აუცილებელია მშვილებელი არ იყოს მანამდე ნასამართლევი.

ბავშვის აყვანის პროცედურა მოითხოვს გარკვეულ დროს. ოჯახს რომელსაც სურს აიყვანოს 2-დან 7 წლამდე ბავშვი, მოცდის პერიოდი შეადგენს 3.5 წელს, 7-დან ზემოთ მოცდის პერიოდი 3.5

[36] ნ. ბოკერია, შვილების (შვილად აყვანის) სამართლებრივი საფუძვლები ქართულ სამართალში, ჟურნალი, „ცხოვრება და სამართალი“, თბ., 1998, გვ. 82-83

წელზე ნაკლებია, ხოლო უნარშეზღუდული ბავშვების შემთხვევაში-ყოველ კონკრეტულ ბავშვზე ინდივიდუალურია.[37]

საფრანგეთი

საფრანგეთში ბავშვის აყვანის მსურველი წყვილი უნდა იყოს დაქორწინებული მინიმუმ 2 წელი მაინც, ან თუ დაქორწინებულები არიან 2 წელზე ნაკლები დრო, მაშინ ორივე მეუღლე უნდ აიყოს 28 წელზე მეტი ასაკის, მარტოხელა მშობელს შეუძლია ბავშვის აყვანა, თუ ის არის 28 წლის მაინც, ასაკის ზედა ზღვარი არ არის, შეზღუდვები არ წესდება, როცა ერთ მეუღლეს სურს მეორე მეუღლის ბავშვის აყვანა, ზოგადად სხვაოპბა მშვილებელსა და ნაშვილებს შორის უნდა იყოს მინიმუმ 15 წელი. მშობლის მიმართ არ არის დაწესებული ასევე შემოსავლის მინიმალური ზღვარი, თუმცა მშვილებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია ბავშვის რჩენა.

იტალია

იტალიაც ასევე ჰააგის კონვენციის წევრია და აშშ-ს შემდეგ მსოფლიო ლიდერია ბავშვის აყვანის საკითხში. აქ ყოველწლიურად რამდენიმე ათასი ბავშვი აჰყავთ, ძირითადად ჩინეთიდან, შიდა გაშვილება ძალიან იშვიათია. მშვილებელი ოჯაიხი უნდა იყოს იტალიაში ლეგალურად მცხოვრები , მშვილებელი უნდ აიყოს ასევე შვილად ასაყვან ბავშვზე მინიმუმ 19 წლით და მაქსიმუმ 45 წლით უფროსი, მხოლოდ დაქორწინებულ წყვილს შეუძლია ბავშვის შვილად აყვანა. ამასთან, ქორწინებაში უნდა იმყოფებოდეს 3 წელი მაინც. მარტოხელა მშობელს ძალიან იშვიათ შემთხვევებში შეუძლია ბავშვის აყვანა, ხოლო ერთსქესიანებს ეკრძალებათ ბავშვის აყვანა. 14 წლის ასაკიდან ბავშვი თვითონ წყვეტს გაშვილდეს თუ არა, 14 წლამდე ასაკის ბავშვის აყვანისას უპირატესობა ენიჭება წყვილს, რომელსაც უკვე ჰყავს აყვანილი გასაშვილებელი ბავშვი ძმა ან და. მოცდის პერიოდს კი შეადგენს 3 წელზე მეტი დრო.[38]

გერმანია

გერმანიის კანონმდებლობით შვილად აყვანა დასაშვებია, თუ იგი ემსახურება ბავშვის კეთილდღეობას. მშვილებლი მიღწეული უნდა იყოს 25 წლის ასაკს. შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული იმ შემთხვევაში, თუ მშვილებელი ბავშვზე ზრუნვას ახორციელებს სათანადო ვადის განმავლობაში. შვილად აყვანისთვის ასევე საჭიროა თანხმობა თუ ბავშვი 14 წლის ასაკს მიღწეულია, ხოლო თუ ბავშვი ქმედუუნაროა ან მას არ

[37] ნ.კალანდაძე, შვილად აყვანა საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბ., 2014, გვ. 5
[38] იქვე. გვ. 6

მიუღწევია 14 წლის ასაკს თანხმობას აცხადებს მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენელი. თუ ბავშვი მიღწეულია 14 წლის ასაკს და არის ქმედუუნარო, მას ასევე შეუძლია შვილად აყვანის თანხმობის გამოთხოვა გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე და ამისთვის მას არ ჭირდება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ერთ-ერთი მეუღლის მიერ ბავშვის ერთპიროვნულად შვილად აყვანისთვის საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა. შვილება არ განხორციელდება ასეთ შემთხვევასი თუ იგი ეწინააღმდეგება მეორე მეუღლისა და ოჯახის ინტერესებს. მეუღლის თანხმობა არ არის საჭირო თუ იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უუნაროა, ან მისი ადგილსამყოფელი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უცნობია. [39]\

ყაზახეთი

ყაზახეთის რესპუბლიკის კოდექსის „ქორწინების (მეუღლეობის შესახებ) და ოჯახის შესახებ“ ბავშვი შეიძლება გადაყვანილ იქნას ოჯახში შვილად აყვანის, მეურვეობის ან მინდობით აღზრდისთვის. შვილად აყვანა, ბავშვის ოჯახში გადაყვანის იურიდიული ფორმაა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რის შედეგადაც წარმოიქმნება პირადი არაქონებრივი და საკუთრების უფლება და მოვალეობები, რომლებიც უტოლდება ახლობლების უფლებებსა და მოვალეობებს.

მინდობით აღზრდა არის აღზრდის ფორმა, რომლის დროსაც მშობლები (მშობლების) გარეშე დარჩენილ ბავშვებს და ბავშვებს მინდობით აღზრდაზე გადაჰყავთ ოჯახებში, ხელშეკრულებით, რომელიც ასრულებს მეურვეობის ფუნქციებს. ყაზახეთის რესპუბლიკაში დაინერგა“ რესპუბლიკურ მონაცემთა ბანკი“ ბავშვთა, მშობლების მოვლის გარეშე დარჩენილ ბავშვებისა და იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ბავშვების შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდა მონაცემთა რეესტრი. ვებგვერდზე მოცემულია ინფორმაცია მშობლების მოვლის გარეშე დარჩენილ ბავშვებზე, ობოლ ბავშვებსა და ბავშვებზე, რომლებიც იზრდებიან ორგანიზაციებში. ინფორმაცია სქესის, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, პერსონაჟების თვისებების, მშობლების მოვლის არარსებობის მიზეზების შესახებ, ძმებისა და დების, ზრდასრული ნათესავების ყოფნაზე, აგრეთვე მინდობით აღზრდის პირობებში მოთავსების შესაძლო ფორმებზე. რესპუბლიკური მონაცემთა ბაზაში განთავსებული ბავშვების ოჯახები და ფოტოები.

[39] http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf ;

ყაზახეთის რესპუბლიკაში წყვილს არ შეუძლია ბავშვის შვილად აყვანა დაოჯახების გარეშე, ამავე დროს, აუცილებელია იმის ცოდნა, რომ შვილად აყვანის მშობელსა და შვილობილს შორის ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს მინიმუმ 16 წლის ასაკში. სასამართლოს მიერ მის მიერ აღიარებული მიზეზების გამო, ასაკობრივი სხვაობა შეიძლება შემცირდეს. ბავშვის შვილად აყვანისთვის აუცილებელია მისი მშობლების თანხმობა, თუ მათ არ ჩამოერთვათ მშობლის უფლებები. 16 წლამდე არასრულწლოვანი მშობლის შვილის შვილის მიღებისას აუცილებელია იურიდიული წარმომადგენლების თანხმობა. არასრულწლოვანი მშობლების კანონიერი წარმომადგენლების არარსებობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაბადებისთანავე სამედიცინო დაწესებულებაში არასრულწლოვანი მშობლების მიერ მიტოვებულია და არავინ არ არის დაინტერესებული მისი ბედი 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, საჭიროა მეურვეობის ან მეურვეობის ფუნქციების შემსრულებელი ორგანოს თანხმობა.[40]

2.4. შვილად აყვანის შეწყვეტა

კანონი ასევე იცნობს შვილად აყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტი ორ გზას. ესენია: შვილად აყვანის გაუქმება და შვილად აყვანის ბათილობა.

ადრე მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა შვილად აყვანის გაუქმების შესაძლებლობას მხოლოდ ნაშვილების მიერ სრულწლოვნობის მიღწევამდე. ეს აიხსნებოდა თვით შილად აყვანის მიზნით, რომელსაც წარმოადგენს ბავშვის აღზრდის უზრუნველყოფა. სრულწოვანების მიღწევასთან ერთად პირს აღარ ესაჭიოება ოჯახური აღზრდა, ამდენად შვილად აყვანის მიზანიც კარგავს აზრს.[41] საბჭოთა კანონმდებლობა ყოველთვის არ თვლიდა შვილად აყვანის გაუქმების საფუძვლად შვილად ამყვანის მიერ თავისი მოვალეობის ფაქტიურ შეუსრულებლობას. შვილად ამყვანს ან/და აყვანილის მიერ თავიანთ უფლებებზე და მოვალეობებზე ცალმხრივი უარის თქმა არ იწვევს ამ ურთერთობის მოსპობას. ასევე შვილად აყვანის სამუდამო ხასიათი არ ნიშნავდა, რომ მისი გაუქმება საერთოდ შეუძლებელი იყოს, მაშინ, როცა შვილად აყვანა ეწინააღმდეგება თავის დანიშნულებას, ე.ი. ბავშვილს აღზრდის ინტერესებს, შეიძლება დაისვას საკითხი მისი გაუქმების შესახებ. [42]

---

[40] Усыновление ребенка в Казахстане, https://egov.kz/cms/ru/articles/child/adoption_of_a_child_in ;
[41] ლ. ნადიბაიძე, შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემები, ავტორეფერატი, თბ., 1998, გვ. 16
[42] ს. ჯორბენაძე, საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბ., 1957, გვ.332

მიუხედავად იმისა, რომ შვილად აყვანის შედეგად წარმოშობილი ურთერთობები გათანაბრებულია ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობებთან, კანონმდებელი მათ საფუძველზე წარმოშობილ უფლება-მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, სხვადასხვაგვარად აყენებს მათი პასუხისმგებლობის საკითხს.

გარემოებები, რომელთა არსებობამაც შეიძლება განაპირობოს მშობლის უფლების ჩამორთმევა, ყველა შემთხვევაში არის საფუძველი შვილად აყვანის გაუქმებისთვის. ეს საფუძვლები შეიძლება იყოს: თუ მშვილებელი არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მშობლის მოვალეობებს; როდესაც მშვილებლის და ნაშვილების თანაცხოვრება შეუძლებელია; თუ ბავშვის სუაკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ამას მოითხოვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია რა იგულისხმება მშვილებლისათვის დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობაში, ან უნდა განიხილებოდეს თუ არა საკითხი ამ დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვან შესრულებაზე და რამდენად კარგად უნდა შეფასდეს ეს მდგომარეობა.

მშვილებლის მიერ მშობლის უფლებების შეუსრულებლობისთვის ობიექტური მიზიზების არსებობისას, შვილად აყვანის გაუქმების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოს მიერ აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისიწნებული ნაშვილების ინტერესები, მით უმეტეს, თუ იგი მიღწეულია 10 წლის ასაკს. თუ ნაშვილები 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკისაა, შილად აყვანის გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით. 10 წლამდე ასაკის ნაშვილების შემთხვევაში სასამართლო შილად აყვანის გაუქმების პროცესისას მხედველობაში იღებს ნაშვილების აზრს მისი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და სიმწიფის ხარხისხის გათვალისიწნებით. [43] საქმე ისაა, რომ შვილად აყვანის მიზანს მშობლიური ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვის აღზრდა წარმოადგენს. თუ ეს მიზანი შესრულდა და არასრულწლოვანი ნაშვილები სრულწლოვანი გახდა, არავთარი საფუძველი არ არსებობს მის გასაუქმებლად. რადგან შვილად აყვანის გაუქმების შესახებ საკითხის გადაწყვეტაში მნიშველოვანი როლი ნაშვილების ინტერესებს ეკუთვნის, იგულისხმება, რომ მშვილებელმა ნაშვილების სრულწლოვნებამდე სწორედ მისი ინტერესების შესაბამისად აღზარდა ნაშვილები, მან თავისი მშობლური მოვალეობა პირნათლად შეასრულა, რის შემდეგაც ნაშვილების ჯერი დგება. სრულწლოვნების მიღწევის შემდეგ წინა პლანზე მშვილებლის ინტერესები ინაცვლებს, ამიტომაც არ შეიძლება შვილად აყვანის გაუქმება. გამონაკლისია

[43] საქართველოს კანონი, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, მ.66

მხოლოდ ის შემთხვევა თუ, შვილად აყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის ყველა ძირითადი მონაწილე თანახმაა შვილად აყვანის გაუქმებაზე. [44]

შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების გარდა, კანონმდებლობით გათვალისწინებულია შვილად აყვანის გაბათილების საფუძვლებიც. შვილად აყვანა ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი თუ: თუ შილად აყვანა კანონმდებლობის დარღვევით განხორციელდა; სასამართლო გადაწყვეტილება ყალბ დოკუმენტს ეფუძნება; თუ შილად აყვანა ფიქციურია; ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს ყალბ დოკუმენტებზე დაყრდნობით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა შვილად აყვანის შესახებ. ასეთია, დოკუმენტი, რომელიც თითქოს ადასტურებს ორივე მშვილებლის თანხმობას შვილად აყვანის თაობაზე, სინამდვილეში კი შვილად აყვანის თაობაზე ერთ-ერთმა მეუღლემ გამოთქვა სურვილი, მეორე კი წინააღმდეგი იყო. ყალბად ითვლება ასევე დოკუმენტი, რომლებითაც თითქოს დასტურდება ქალისგან ბავშვის გაჩენის ფაქტი, ათ წელს მიღწეული ბავშვის თანხმობა მის გაშვილებაზე, იმ პირთა გარდაცვალება, რომელთა ნებართვაც აუცილებელია შილად აყვანისას და ა.შ.

შვილად აყვანის ბათილად ცნობის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს მისი ფიქციური ხასიათი. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა შვილად აყვანა ხდება იმ განზრახვის გარეშე, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას რეალური საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობა. ასეთი შვილება უმეტესად ანგარებით ხასიათდება. [45]

კანონით შვილად აყვანის გაუქმების მოთხოვნით განცხადების სასამართლოში წარდგენის უფლება აქვთ ნაშვილების ბიოლოგიურ მშობლებს; მშვილებელს; ნაშვილებს და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. ასევე პირი რომელიც მიიჩნევს, რომ შვილად აყვანით ილახება ბავშის საუკეთესო ინტერესები, ამის თაობაზე უნდა აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელიც წყვეტს შვილად აყვანის გაუქმების მოთხოვნით განცხადების სასამართლოში წარდგენის საკითხს.

შვილად აყვანის გაბათილება ნიშნავს იმას, რომ იგი არასდროს არ ჩაითვლილა ნამდვილად არსებულად და არავითარი უფლება-მოვალეობები მშვილებელსა და ნაშვილებს შორის არც წარმოშობილა. ამიტომ შვილად აყვანა ბათილად ითვლება მისი გაბათილების შესახებ

---

[44] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 283

[45] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ.284-285

გადაწყვეტილების გამოტანიდან კი არა, არამედ - შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს პირველი გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან. მაგრა ეს სრულებითაც არ ნიშნავს, იმას , რომ ასეთ შემთხვევაში ყოფილ მშვილებელს მთელი ამ ხნის განმავლობაში ბავშის აღზრდაზე გაწეული ხარეჯები უნდა აუნაზღაურდეს. სწორედ მეურვეობსა და მზრუნველობის ორგანო, ის ვინც, ხშირ შემთხვევაში მშობლებსა და ნათესავებზე მაღლა დგანან და ყველაზე მეტად ცდილობენ ხელი შეუწყონ ბავშვების და საპატრონო პირთა ინტერესების დაცვას, ამ ორგანოს საკმაოდ დიდი როლი აქვს ამ სფეროში და შესაბამისად კანონმდებლობა უშვებს მის ჩართულობას შვილად აყვანის ბათილად ცნობის საკითხში.

თავი III. საერთაშორისო შვილება - გაშვილება

3.1. საერთაშორისო გაშვილება და მათი შემდგომი კონტროლი

დღესდღეობით ბავშვთა სახლში უამრავი მზრუნველობამოკლებული ბავშვია, რომელთა გაშვილებას კანონი არ კრძალავს. ასევე საქართველოს კონსტიტუციით დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.[46] საქართველოდან ბავშვის უცხო სახელმწიფოში გაშვილება, აგრეთვე უცხოელი ბავშვის საქართველოში შვილება შესაძლებელია იმ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებისა და ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, რომლებიც არეგულირებენ ამ ურთიერთობებს. ამ მხრივ აღსანიშნავია კონვენცია „ბავშვთა უფლებების შესახებ“ და ჰააგის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“. აღნიშნული კონვენციები საფუძვლად დაედო საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფას.

გაეროს კონვენციით, პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები და აღიარებენ, რომ სხვა ქვეყანაში გაშვილება შეიძლება გახდეს ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება, თუ ბავშვი აღსაზრდელად ვერ გადაეცემა ან ვერ მიებარება ოჯახს, რომელიც უზრუნველყოფდა მის აღზრდას ან შვილად აყვანას და თუ ბავშვის წარმოშობის ქვეყანაში რაიმე შესაფერისი მოვლის უზრუნველყოფა შეუძლებელი გახდა.[47] უზრუნველყოფენ ასევე, რომ სხვა ქვეყანაში გაშვილების შემთხვევაში გამოყენებულ იქნეს ისეთი გარანტიები და ნორმები, რომლებიც შვილად აყვანის მიმართ გამოიყენება ქვეყნის შიგნით. სწორედ ამ ნორმებს იზიარებს საქართველოს კანონიც „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ და მკაცრად განსაზღვრავს, სწორედ ამ პირობების არსებობაა აუცილებელი საერთაშორისო გაშვილების პროცედურის დასაწყებად. სხვა ქვეყანაში ბავშვის გაშვილებამ, მასთან დაკავშირებულ პირებს არ უნდა მისცეს გაუმართლებელი ფინანსური შემოსავლები. სახელმწიფოებს შორის მიღწეული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გზით უზრუნველყოფილ

[46] საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი, მ. 30
[47] გაეროს კონვენცია, ბავშვის უფლებების შესახებ, 1989, მ. 21.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0 ;

უნდა იქნეს სხვა ქვეყანაში შვილებასთან დაკავშირებული საკითხების კომპეტენტური ორგანოების მიერ გადაწყვეტა. ამავე კონვეციით განსაზღვრულია შვილად აყვანის საყოველთაოდ მიღებული პრინციპები.[48]

რაც შეეხება ჰააგის კონვენციას, იგი უფრო ფართოდ და დეტალურად არეგულირებს საერთაშორისო გაშვილების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მის პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ ყველა ზომის გატარებაა საჭირო რომ საერთაშორისო გაშვილება მოხდეს ბავშვათა ინტერესების გათვალისწინებით და მათი ძირითადი უფლებების დაცვით, რათა აცილებულ იქნეს ბავშვთა გატაცების, გაყიდვისა და ვაჭრობის ფაქტები. თითოეული სახელმწიფო ვალდებულია პრიორიტეტულ ამოცანად დაისახოს სათანადო ზომების მიღება ბავშვის საკუთარ ოჯახში აღსაზრდელად.

ჰააგის კონვენციის მიხედვით გაშვილება შესაძლებელია, თუ წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლება დაადგენს, რომ ბავშის გაშვილება შესაძლებელია და საერთაშორისო გაშვილება პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. მხედველობაში იქნეს მიღებული ბავშვის სურვილები და აზრი.[49]

ხელშემკვრელი სახელმწიფოები ნიშნავენ ცენტრალურ ორგანოს, რომელსაც დაეკისრება საერთაშორიოს გაშვილებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. ცენტრალური ორგანოები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ხელს უწყობენ თავიანთ სახელმწიფოებში ხელისუფლების საქმიანობას ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში. ისინი ერთმანეთს წარუდგენენ ინფორმაციებს თავიანთი ქვეყნების იმ კანონების შესახებ, რომლებიც შეეხება გაშვილების საკითხებს და და აცნობენ ერთმანეთს კონვენციის ამა თუ იმ დებულების გამოყენების მხრივ წარმოშობილ დაბრკოლებებს. ცენტრალური ორგანოები აგროვებენ და უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციებს ბავშვის მდგომარეობისა და პერსპექტიული მშვილებლის შესახებ, რაც სავალდებულოა გაშვილების აქტის შესასრულებლად, ცდილობენ დააჩქარონ გაშვილების პროცედურა, გაშვილების შემდეგ ატარებენ კონსულტაციებს თავიანთ სახელმწიფოებში

[48] ზ. გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2006. გვ. 325

[49] ჰააგის კონვენცია ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, 1993, მ. 4.
http://www.parliament.ge/files/1359_21958_142476_haagissaerTaSorisokerZosamarTliskonferenciakonvenciasaerTaSorisogaSv_.pdf ;

გაშვილების წესისა და არსებული დახმარებების სისტემის შესახებ. ერთმანეთს უზიარებენ საერთაშორისო გაშვილების სფეროში მიღებულ გამოცდილებას.[50]

პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში და სურთ იშვილონ მეორე სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები ბავშვი, მიმართავენ თავის სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ცენტრალური ორგანო კოორდინაციას უწევს საქართველოს ყველა სახელწმიფო ორგანოსა და დაწესებულების საქმიანობას საერთაშორისო შვილად აყვანასთან დაკავშირებით. თუ საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირს სურს უცხო ქვეყანაშოი მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანა მან უნდა მიმართოს ცენტრალურ ორგანოს. ცენტრალური ორგანო ამზადებს უცხო ქვეყნიდან ბავშვის შვილად აყვანის მსურველი, რეესტრში რეგისტრირებული საქართველოში მუდმივად მცხოვრები მშვილებლის შესახებ ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მშვილებლის ვინაობის, წარმომავლობის, ოჯახის ისტორიის, სამედიცინო ისტორიის და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, აგრეთვე სოციალური გარემოება, შვილად აყვანის მოტივაცია, სასურველი შვილად ასაყვანი ბავშვის მახასიათებელი და სხვა მახასიათებლის თაობაზე. აღნიშნულ ანგარიშს ცენტრალური ორგანო წარუდგენს წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს. თუ წარმოშობის სახელწმიფოს სურ შესათავაზოს გასაშვილებელი ბავშვი შვილად აყვანის მიზნით, მან ასევე უნდა წარადგინოს ბავშვის შესახებ ანგარიში და ყველა ის ინფორმაცია რომელთა საფუძველზედაც ბავშვი ექვემდებარება გაშვილებას. უცხო ქვეყანაში გაშვილების საკითხი მხოლოდ მაშინ დგება, თუ იგი ცენტრალურ რეესტრში აღრიცხვაზე აყვანიდან 8 თვის განმავლობაში ვერ იქნა გაშვილებული საქართველოში. ბავშვის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ეს ვადა სასამართლომ შეამციროს, ამ შემთხვევაში ცენტრალური ორგანოს მუშაკი ატარებს კვლევას, რომლის საფუძველზე წარმოდგენილ დასკვნაშიც უნდა აღინიშნოს მიზეზები, რომელთა გამოც ვერ მოხერხდა ამ ბავშვისტვის საქართველოში მშვილებლის გამონახვა. თუ მიზეზი ობიექტურია, ცენტრალური ორგანო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით იწყებს მისი უცხო ქვეყანაში გაშვილების პროცედურების განხორციელებას. თუ რომელიმე ქვეყანა არ არის ჰააგის კონვენციის ხელშემკვრელი მხარე ან ამ ქვეყნის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო გაშვილების საკითხებში ცენტრალური ორგანოს შექმნა, მაშინ საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სააგენტო ამტკიცებს მშვილებელი ქვეყნის ცენტრალურ ორგანოსთან დასადები სპეციალური

[50] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 290-291

ხელსეკრულების ფორმას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გაეროსა და ჰააგის კონვენციის, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საქართველოდან უცხო ქვეყანაში ბავშვის გასაშვილებლად სავალდებულოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა, რასაც ახორციელებს ცენტრალური ორგანოს მიერ შექმნილი კომისია. ასეთი კომისიის მუშაობის წესს, მის შემადგენლობას და კომისიის მიერ უცხო ქვეყანაში გასაშვილებელი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გადამოწმების წესს ამტკიცებს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო.

საერთაშორისო გაშვილების განმახორციელებელი ორგანო – სააგენტო ამ მიზნით, უკავშრდება კონვენციის ხელისშემკვრელ მხარეებს და ცვლის მათთან ინფორმაციას გასაშვილებელი ბავშვების შესახებ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში შეიძლება ბავშვების გაშვილება. საერთაშორისო გაშვილება ხდება კოვენციის არაწევრ სახელმწიფოებშიც. საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანა უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ, ანუ ქართველი ბავშის საერთაშორისო დონეზე გაშვილება დასაშვებია, თუ ბავშვის შვილად აყვანის მსურველი პირი აღრიცხულია მშვილებელთა რეესტრში და აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: არ აქვს ჩამორთმეული მშობლის უფლება, არ აქვს შეზღუდული მშობლის უფლება-მოვალეობები მშობლის უფლებების განუხორციელებლობისთვის ან არაჯეროვანი განხორციელების გამო, ჯანმრთელობის მდგომარეობა უწყობს ხელს შვილად აყვანის, არ არის მსჯავრდებული სასამართლოს მიერ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის.

გარდა ზემოთჩამოთვლილი პირობებისა, ბავშის საერთაშორისო დონეზე გასაშვილებლად საჭირო არის ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომლის მოპოვებაც ხდება ექსპერტიზის ჩატარების შედეგად არსებული დასკვნის საფუძველზე. ბავშვის უცხოეთში გაშვილების პროცედურა იწყება მას შემდეგ, რაც სააგენტო ჩაატარებს კვლევას, რომლის საფუძველზეც მომზადებულ დასკვნაში აღნიშნავს მიზეზებს, რის გამოც ვერ მოხდა საქართელოში ბავშვისთვის მშვილებელის მოძებნა.

საერთაშორისო გაშვილების, ისევე, როგრც საქართველოს ტერიტორიაზე გაშვილების შესახებ, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. სასამართლოში გასაშვილებელი ბავშის ინტერესებს იცავს სააგენტოს უფლებამოსილი პირი. საერთაშორისო გაშვილების პროცედურის დასრულების შემდეგ, სააგენტო შესაბამის ინფორმაციას აწვდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. რაც შეეხება მინდობით აღზრდას, ეს გულისხმობს სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს

შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიმღები ოჯახის მიერ ბავშვის დროებით მოვლასა და აღზრდას, რომელის სანაცვლოდაც, მიმღები ოჯახები სახელმწიფოსგან იღებენ ფულად სოციალურ დახმარებას, რომელიც იდეაში განკუთვნილი არის შვილობილის მოსავლელად და აღსაზღდელად. მინდობით აღზრდა მზრუნველოვამოკლებული ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების რეალიზების საშუალებას იძლევა, რაც ხელს უწყობს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას, მის სოციალიზაციასა და ადაპტაციას საზოგადოებაში.

შვილად აყვანასა და მინდობით აღზრდას შორის სხვაობა თანმდევ სამართლებრივ შედეგებშია: შვილად აყვანის დროს მშვილებლები ბავშვის მშობლები ხდებიან და მათი ურთიერთობა შვილად აყვანილთან ისეთივე, როგორი ურთიერთობაც არსებობს ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორის. მინდობით აღზრდის დროს კი, ბენფიციარი არ კარგავს თავის ბიოლოგიურ ოჯახს და იგი ოჯახიდან გამოდის გარკვეული ვადით, რომელსაც ხელშეკრულება განსაზღვრავს. ხელშეკრულება განსაზღვრავს ასევე იმ თანხის ოდენობასაც, რომელსაც სახელმწიფო უხდის მიმღებ ოჯახს გაწეული სამუშაოსთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, შვილად აყვანა დაიშვება არასრულწლოვანის ინტერესებისა და ზნეობის ნორმების გათვალისწინებით. ურთიერთობა მშვილებელსა და ნაშვილებს შორის სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება, ვინაიდან აღნიშნული ურთიერთობის კონტროლი მიდი მონაწილეთა ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად. გაშვილების შემდგომი კონტროლიც სწორედ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის არსებული ურთიერთობისას შვილად აყვანილის ინტერესების დაცვის მექანიზმია.

გაეროს 1986 წლის ,,საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე გაშვილებულ და აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სოციალურსამართლებრივი პრინციპების დეკლარაციაში" განსაზღვრულია სახელმწიფოს როლი გაშვილებულ და აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვთა უფლებების დაცვის საქმეში. დეკლარაციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს საზღვარგარეთ გაშვილებულ ბავშვთა უფლებების დაცვის პოლიტიკა, დააწესოს მკაცრი კონტროლი და შეიმუშაოს ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართელოს კანონმდებლობაში გაშვილების შემდგომი კონტროლის საკმაოდ მწირი რეგულაციები არსებობს. ამის ნათელი მაგალითია ,,შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონში არსებული მხოლოდ ერთი მუხლი, რომლის თანახმადაც საერთაშორისო გაშვილების შემდგომ ცენტრალური ორგანო ვალდებულია

მიმღები ქვეყნის ცენტრალურ ორგანოს სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე მოსთხოვოს საქართველოდან გაშვილებული ბავშვის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ინფორმაციის მოწოდება მიმღები სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს წელიწადში ერთხელ, მანამ სანამ გაშვილებულ ბავშვს არ შეუსრულდება 18 წელი, ანუ საქართელოს კანონმდებლობის მიხედვით არ გახდება სრულწლოვანი. ეს მუხლი ეხება მხოლოდ საერთაშორისო გაშვილების შემდგომ კონტროლს, კანონმდებლობასი კი არაფერია ნათქვამი ეროვნულ დონეზე განხორციელებული გაშვილების კონტროლის შესახებ.[51]

[51] ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის კლინიკა, საერთაშორისო გაშვილება და მათი შემდგომი კონტროლი, https://legalclinic.iliauni.edu.ge/shvilad-aqhvana-mindobith-aghzrda-saerthashoriso-gashvileba-da-mathi-shemdgomi-kontroli/;

თავი IV. მინდობით აღზრდა (შვილობილობა)

4.1. მინდობით აღზრდის არსი და სამართლებრივი პროცედურები კანონდმებლობის მიხედვით

ბავშვთა მოვლისა და აღზრდის ტრადიციული ფორმების გარდა, საქართველოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შედარებით ახალი ინსტიტუტი. მინდობით აღზრდა ანუ (შვილობილობა), რაც ხელს უწყობს სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელებას, რომლის თანახმადაც რაც შეიძლება მეტი ბავშვი უნდა გაიზარდოს ოჯახურ გარემოში. გამომდინარე იქიდან, რომ მინდობით აღზრდას აქვს რამოდენიმე წლიანი ისტორია საქართველოში და არ გამოირჩევა სამეცნიერო კვლევების სიმდიდრით, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ პროგრამის განხორციელების თავისებურებები.

მინდობით აღზრდის პროგრამის მთავარი მიზანი ბავშვების უფლებებისა და საჭიროებების დაცვაა, მზრუნველობა მოკლებული ბავშვებისთვის ალტერნატიული მზრუნველობის ფორმის შეთავაზება. თუმცა მთავარი აქცენტი ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციაზე კეთდება. მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვის უფლებაა ჰქონდეს ურთიერთობა მის ბიოლოგიურ ოჯახთან თუ კი ეს მის საუკეთესო ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. რაც უფრო ხშირია ბიოლოგიური მშობლების ვიზიტების რაოდენობა, მით უფრო მაღალია რეინტეგრაციის შანსი. წარმატება დამოკიდებულია ბავშვების სამომავლო ზრუნვის ფორმის განსაზღვრაზე. მინდობით აღზრდის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს დაცულობისა და სტაბილურობის განცდა ბავშვებისთვის, ბიოლოგიურ ოჯახებთან მუშაობა რეინტეგრაციისთვის ან/და სამომავლო ზრუნვის ფორმის შერჩევა.

ოჯახურ გარემოს მოკლებული ბავშვებისთვის მზრუნველობის ალტერნატიული ფორმების განვითარებაზე სახელმწიფო 1999 წლიდან მუშაობს. მინდობითი აღზრდა მზრუნველობის ერთ-ერთი ასეთი ალტერნატივაა.[52] სწორედ ამ საფუძვლით პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულება იქნა მიღებული უდედმამო ბავშვთა მიმართ სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონისძიებათა შესახებ. იგი ითვალისწინებს ხელშეკრულების საფუძველზე ბავშვთა გადაცემას აღმზრდელებისათვის. იმ ოჯახებს, რომლებიც ზრუნვისა და მეურვეობის მიზნით მიიღებდნენ უდედმამო ბავშვს დაუწესდათ ერთჯერადი თანადგომა 500 ლარის ოდენობით. ხოლო ყოველთვიურად ორმაგი მინიმალური ხელფასის ოდენობა ბავშვის სრულწლოვნებამდე. ამ საკითხისადმი საყოველთაო ყურადღებამ და ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებული

[52] სტატია, http://liberali.ge/articles/view/19943/salome.ge ;

პრობლემების სიმწვავის გათვიცნობიერების მაღალმა დონემ განაპირობა 1999 კანონის მიღება.[53] ამ კანონით შედარებით სრულყოფილად იქნა მოწესრიგებული შვილობილობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები- ჩამოყალიბდა ძირითადი პრიციპები. დაწესდა ცალკეული ანაზღაურება ბავშვის მოვლასა და აღზრდასთან დაკავშირებული საქმიანობისთვის რომელიც ჩაითვალა შრომითი სტაჟის გამოთვლის საფუძვლად. ამ კანონმა იმოქმედა რვა წელი.[54]

2007 წლის 18 დეკემბერს მიღებული იქნა კანონი „მინდობით აღზრდი შესახებ“, რაც გამოიწვია, 1999 წლის კანონის “ობოლი და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“ ცალკეულ ნორმათა შინაარსის დაზუსტებამ და დამატებების გათვალისწინების აუცილებლობამ. ადრე მოქმედი კანონმდებლობა ცალკეულ ნორმად იყო ჩამოყალიბებულიდა და მისი სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის 2009 წლის 18 დეკემბერს ცალკეული კანონები „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ უმნიშვნელო დამატებებით გაერთიანდა ერთ აქტად. ამ კანონით გაცნობიერებულია სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე იმ უფლებათა განხორციელების უზრუნველყოფისათვის, რომელიც თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანის აუცილებელ ინგრედიენტს წარმოადგენს, ანუ ბავშვის შვილობილად აყვანის სისტემის ამოქმედებით უზრუნველყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში სრული და ჰარმონიული აღზრდის უპირატესი უფლება, ხელი შეუწყოს ბავშვის პიროვნების ფორმირებას, მის სოციალიზაციასა და ადაპტაციას საზოგადოებაში.[55] სწორედ შვილობილობის დროებითი ხასიათიდან გამომდინარე გაფართოვდა მისი გამოყენების სფეროც, რადგან შესაძლებელია აღზრდის ფუნქციები ცალკეულმა ოჯახებმა იკისრონ არა ხანგრძლივ პერიოდით, არამედ ჩვეულებრივ ბავშვის სრულწლოვნებამდე და გაგრძელდეს მიმღები ოჯახისთვის მისაღები ვადით.

მინდობით აღზრდის ესეოდენ დიდი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ უმეთვალყურეოდ და მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების მინდობით აღსაზრდელად გადაცემით უზრუნველყოფილ იქნას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით გათვალისწინებული მათი ყველა უფლების რეალიზება და ინტერესების დაცვა მშობლიურ, ოჯახურ გარემოში, სიყვარულსა და აუცილებელ მატერიალურ პირობებში მანამდე, სანამ არ მოხდება მათი შვილება მიმღები ან სხვა ოჯახის მიერ ან საკუთარ ოჯახში დაბრუნება.[56]

---

[53] საქართველოს 1999 წლის კანონი, „ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშთა შვილობილად აყვანის შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16234?publication=4 ;

[54] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 298

[55] იქვე, გვ. 298

[56] მ. გოგლიძე, ჟურნალი „დიპლომატია და სამართალი“, თბ., 2016, გვ. 147

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ერთ-ერთ უმნიშნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მშობლის მზრუნველობამოკლებული ბავშვების უფლებების დაცვა და მათთვის ოჯახური გარემოს შექმნა. სწორედ სახელმწიფოს მხრიდან ერთ-ერთ მზრუნველობით ფორმას წარმოადგენს მინდობით აღზრდა, რომლის მიზანია ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლებების განხორციელება, როგორც შილად აყვანის, ასევე მინდობიათ აღზრდის საშუალებით. სახელმწიფოს უპირველესი მიზანი რეინტეგრაციაა, მაგრამ როდესაც აღნიშნული ვერ ხერხდება, მინდობით აღზრდის ინსტიტუტი წარმოადგენს ბავშვის ოჯახურ გარემოში ცხოვრების ერთ-ერთ გზას და ასრულებს შუალედური რგოლის ფუნქციას.[57]

მინდობით აღზრდის პროგრამისთვის მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-20 მუხლზე, რომლის თანახმადაც ბავშვი, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოს, ან რომელსაც არ შეუძლია დარჩეს ასეთ გარემოში, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, მათ განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება აქვთ.[58]

მინდობით აღმზრდელების მომზადება ორი მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი. სწორად დაგეგმილი და განხორციელებული მომზადების პროცესი საშუალებას იძლევა, კიდევ ერთხელ შემოწმდეს მინდობით აღმზრდელის მოტივაცია, მისი ძირითადი ღირებულებები, რათა შემცირდეს ბავშვზე ძალადობის, მისი უგულვებელყოფის ან ექსპლოატაციის რისკი. პროცესი ერთგვარი დამატებითი ფილტრის ფუნქციას ასრულებს. ის ასევე ეხმარება პოტენციურ მინდობით აღმზრდელებს, რომ ბოლომდე გააცნობიერონ, რა საქმეს ეჭიდებიან, რა სახის პრობლემებთან მოუწევთ გამკლავება ან რა სახის სიკეთეებს (მორალურს, სულიერს თუ მატერიალურს) შეიძლება ელოდონ.[59]

მომზადების შედეგად პოტენციური მიმღები მშობლები აღიჭურვებიან ცოდნითა თუ უნარ-ჩვევებით, როგორ აღზარდონ ბავშვი, რა არის მნიშვნელოვანი ბავშვის განვითარებისთვის თითოეულ ეტაპზე, როგორ გაუმკლავდნენ რთულ ქცევას, რა შეიძლება იწვევდეს ამ სირთულეებს, როგორ უნდა მოახდინონ ბავშვთან კომუნიკაცია, როგორ წაახალისონ თუ დასაჯონ ბავშვი, როგორ მიუდგნენ ინდივიდუალურად, რა მნიშვნელობა აქვს ამას და ა.შ. შეიძენენ ყველა იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც ბიოლოგიურ მშობლებსაც არანაკლებ სჭირდებათ.

---

[57] იქვე, გვ. 150
[58] გაეროს კონვენცია, ბავშვის უფლებების შესახებ, 1989, მ. 20
[59] სტატია, http://liberali.ge/articles/view/19943/salome.ge ;

მინდობით აღზრდის სისტემაში ბავშვის ჩართვის გადაწყვეტილებას იღებენ სოციალური მუშაკები, მოსამართლეები, ბიოლოგიური ოჯახები, ბავშვთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, ვინაიდან ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების გადაწყევტილებას რამდენიმე პირი იღებს, მნიშვნელოვანია თითოეულმა ყურადღებით შეისწავლოს აღნიშნული საქმე, რათა არ დაიკარგოს უმთავრესი პრინციპი „ბავშვი და მისი ჭეშმარიტი ინტერესები“[60]

საქართველოს კანონმდებლობით მეორვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია 6 თვის შემდგომ დაიწყოს ბავშვის მიტოვებულად აღიარებული სტატუსზე მუშაობა, თუ კი ბავშვი რომელიც 24 საათიან ზრუნვის სიტემაში იმყოფება მშობელი არ იჩენს ყურადღებას და არ ინტერესდება ბავშვის მდგომარეობით, მშობლის უფლების ჩამორთმევა კი უკვე საკმარისი მიზეზია, რათა ბავშვი გადავიდეს მინდობით აღზრდაში, ბავშვის მიტოვებულად აღიარება ხდება სასამართლოს მეშვეობით.

მინდობით აღმზრდელი შეიძლება იყოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები სრულწლოვანი პირი, რომელშიც იგულისხმება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში , ან უცხო ქვეყნის მოქალაქე რომელზედაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემულია საქართველოშ მუდმივი ბინადრობის მოწმობა დ ამუდმივად ცხოვრობს საქართველოში. [61]

მინდობით აღმზრდელი ვერ იქნება პირი, რომელიც სასამართლომ შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო. პირი რომელსაც შეზღუდული, შეჩერებული ან ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, პირი რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შუძლია ბავშვის აღზრდა, პირი რომლის ოჯახის წევრსაც სასამართლომ მსჯავრი დაადო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის და ნასამართლეობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული, პირი რომელიც ამ ხელშეკრულების საფუძველზე არაჯეროვნად ასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას და ჩამოერთვა მინდობით აღსაზრდელი, პირი რომლის სოციალური სტატუსი ნაკლებია მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე და ასევე პირი რომელიც ნასამართლევია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, მიუხედავად იმისა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს თუ არა ნასამართლეობა.

---

[60] მ. ბეგიაშვილი, მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელების თავისებურებები საქართველოში და სოციალური მუშაობა, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა, თბ., 2019, გვ. 16

[61] საქართველოს კანონი, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, მ. 71

კანონი შილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ განსაზღვრავს შვილობილობის სამართლებრივ პრინციპებს, აწესრიგებს მათი განხორციელებისას სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, ადგენს მინდობით აღზრდის წესს, განახორციელებს გარანტიებსა და შვილობილად აყვანის პროცედურას, აგრეთვე განსაზღვრავს ბავშვის მიმართ ზრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკის სტატუსსა და მის უფლებამოვალეობებს შვილობილობის მთელი პერიოდისთვის.[62]

საქართველოში მხოლოდ 4 სახის მინოდბით აღზრდის ტიპი არსებობს:

1) ნათესაური მინდობით აღზრდა - ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით ბავშვის ნათესავთან მისი განთავსება;

2) რეგულარული მინდობით აღზრდა - მინდობით აღმზრდელსა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ბავშვისთვის ოჯახური გარმოს შექმნა;

3) გადაუდებელი მინდობით აღზრდა - ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით შეთავსების ანგარიშის გარეშე მინდობით აღმზრდელთან განთავსება;

4) ჩამნაცვლებელი მინდობით აღზრდა - მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვის დროებით სხვა მინდობით აღმზრდელთან განთავსება, თუმცა პრაქტიკაში მინდობითი აღზრდის ამ სახეობას საქართველოში არ ვხვდებით.

კანონის მიხედვით, მინდობით აღზრდის პროცედურების განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანოა სააგენტო, რომლის ტერიტორიული ერთეული მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფს მინდობით აღზრდის სფეროში მინდობით აღზრდის მსურველი პირისა და მინდობით აღსაზრდელის შეფასებას, მინდობით აღზრდის მსურველი პირისა და მინდობით აღსაზრდელის რეგისტრაციას, მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირი, მინდობით აღზრდის მსურველი პირის, მინდობით აღსაზრდელისა და მინდობით აღზრდის რეგისტრაციისა და აღნიშნული პირის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზებას, თავსებადობის შეფასებას, მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებას, და ამ გეგმის განხორციელების მონიტორინგს, მინდობით აღსაზრდელის საცხოვრებელი პირობები, მისი აღზრდა განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობას, საკუთარი კონპეტენციის ფარგლებში კონსულტაციების გამართვას.

[62] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 298

მინდობით აღზრდაში განთავსებამდე ბავშვი უნდა იყოს ინფორმირებული პროგრამის და მინდობითი აღმზრდელის შესახებ. მას უნდა ჰქონდეს სოციალური მუშაკის საკონტაქტო ნომერი, რათა შეძლოს მასთან დაკავშირება დროის ნებისმიერ მონაკვეთში. სტანდარტში ყურადღება ექცევა ბავშვისა და ბიოლოგიური ოჯახის ურთიერთობის წახალისების ხელშეწყობას, თუ კი ეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება.[63]

მინდობით აღმზრდელად რეგისტრაციის მიზნით პიროვნებამ უნდა მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს, ფაქტობრივი საცხორებელი ადგილის მიხედვით. ამის შემდგომ მინდობით აღმზრდელის მსურველი პირი გაივლის შესაბამის ტრენინ კურს. სერთიფიკატის აღების შემედგომ სოციალური მუშაკი ახდენს ბავშვის საჭიროებებისა და ბავშვის მინოდბით აღზრდის მსურველი პირის საჭიროებების შემოწმებას. სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი საბჭო. სოციალური მუშაკი განცხადების მიღებიდან არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა, ახორციელებს ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველ პირის/ოჯახის პირველად შეფასებას და წერს დასკვნას, თუ პირველადი შეფასება უარყოფითია, სოციალური მუშაკის დასკვნის შესაბამისად მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას დედობილის/მამობილის რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე. თუ პირველადი შეფასება დადებითია, სოციალური მუშაკი არა უმეტეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში, ამზადებს ოჯახის სრულ შეფასებას და მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოსათვის წარსადგენ დასკვნას. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო უზრუნველყოფს დედობილის/მამობილის რეგისტრაციას 1 წლის ვადით, თუ ამ ვადაში არ მოხდა დედობილისათვის/მამობილისათვის პირის მინდობით აღზრდაში გადაცემა.[64]

საქართველოს კანონმდებლობით მინდობით აღმზრდელი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არ უნდა იყოს ნასმართლევი, ჰქონდეს შესაძლებლობა უზრუნველყოს ბავშის საჭიროებები, დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები. მინდობით აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მინიმალური ასაკობრივი სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 16 წელს. დოკუმენტის მიხედვით ოჯახი რეგისტირებული უნდა იყოს

[63] მ. ბეგიაშვილი, მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელების თავისებურებები საქართველოში და სოციალური მუშაობა, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა, თბ., 2019, გვ. 13

[64] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №51/ნ მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1008793?publication=0 ;

სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულა 100 000 და მეტი, სავალდებულოა სპეციალური ტრენინგების გავლა, რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების ეტაპებსა და თავისებურებებს.

მინდობით აღზრდის პროგრამის წარმატებით განხორცელებაში დიდი წვლილი შეაქვს მინდობით აღმზრდელს, ბიოლოგიური მშობლებს, ბავშვისა და სოციალური მუშაკის შეთანხმებულ და წარმატებულ ურთიერთთანამშრომლობას. თუმცა არ არის ზუსტად გაწერილი სოციალური მუშაკისა და მინდობით აღმზრდელის ურთიერთობის ნორმები და როლები, სწორედ ამიტომ, შესაძლოა მოხდეს ურთიერთობების არარეგულირება, აღრევა და კონფლიქტი. მიდნობით აღზრდაში მყოფი ბავშვის განვითარებაზე გავალენას ახდენს არა მარტო მინდობით აღმზრდელის ოჯახის სტაბილურობა, არამედ მინდობით აღმზრდელისა და სოციალური მუშაკის ურთიერთობაც. პროგრამის განხორციელებისას ხშირად გაურკვეველია სოციალური მუშაკის როლი. ვინ არის სოციალური მუშაკი მინდობით აღმზრდელისთვის და მინდობით აღსაზრდელისთვის?! მომლაპარაკებელი, დამხმარე, მედიატორი? საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე ხშირ შემთხვევაში სოციალურ მუშაკს არ აქვს ერთი კონკრეტული როლი.

ბავშვის მინდობით აღზრდაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას (გარდა გადაუდებელი მინდობით აღზრდისა) იღებს რეგიონული საბჭო თავსებადობის შესახებ სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე. მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველ პირთა სურვილი ბავშვის ასაკთან, სქესთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით; შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბავშვის ახლო ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ გარემოში აღზრდის შესაძლებლობა; ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველ პირთა ოჯახში მცხოვრები ბავშვების, მათ შორის, ბიოლოგიური შვილების და შვილად აყვანილი ბავშვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შვიდს; 10 წელს მიღწეული ბავშვის მინდობით აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით; ასევე დაუშვებელია და-ძმის, დების ან/და ძმების დაშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეესაბამება მათ ინტერესებს; მინდობით აღსაზრდელსა და დედობილს/მამობილს შორის ასაკობრივი სხვაობა კი უნდა იყოს არანაკლებ 15 წლისა.

ბავშვის მინდობით აღზრდაში გადაცემის შესახებ რეგიონული საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ხოლო გადაუდებელი მინდობით აღზრდისას – დედობილის/მამობილის რეგისტრაციის შემთხვევაში სააგენტოსა და ბავშვის მინდობით

აღზრდის მსურველ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება მინდობით აღზრდის შესახებ. მინდობით აღსაზრდელის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ვადით, ხოლო გადაუდებელი მინდობით აღზრდისას – არა უმეტეს 30 დღისა.

მინდობით აღზრდის ხელშეკრულება დადების წესითა და შინაარსით ბევრად განსხვავდება სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებებისგან. მისთვის დამახასიათებელია ის, რომ ხელშეკრულება იდება მკაცრად განსაზღვრულ სუბიექტებს შორის, ესენია: ერთი მხრივ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, რომლებიც ამ შემთხვევაში სახელმწიფოს წარმოადგენენ და მეორე მხრივ, მიმღები ოჯახი, დედობილ-მამობილის ოჯახები, რომელთაც გადაეცემა შვილობილები მოსავლელად და აღსაზრდელად. სხვა სუბიექტებს შორის ასეთი ხელშეკრულება არ იდება. უმეტესად მინდობით აღზრდს ხელშეკრულება იდება სამი ან ხუთღი წლის ვადით და ყოველთვის არსებობს ახალი ვადით მისი დადების შესაძლებლობა. ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობები, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება მათი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იდება, მხოლოდ მათი სურვილით არ განისაზღვრება. მათი ნაწილი სახელმწიფოს მიერ დგინდება. ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის შვილობილის მოვლა და აღზრდა.

კონკრეტული ხელეშეკრულების დადებამდე, საჭიროა განსაზღვრული წინასწარი სამუშაოების ჩატარება,იგულისხმება იმ ბავშვების გამოვლენა და აღრიცხვაზე აყვანა, რომლებიც მოსავლელად და აღსაზრდელად შეიძლება გადაეცეთ ცალკეულ ოჯახებს. კანონის მიხედვით განსაზღვრულია იმ ბავშვთა კატეგორია, რომლებიც მინდობით აღზრდას ექვემდებარებიან. მათ რეგისტრაციას ახროციელებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.[65]

ბავშვი შეიძლება აყვანილი იქნეს შვილობილად, თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მას უნდა დაენიშნოს მეურვე ან მზრუნველი, მაგრამ ჯერ არ ყავს დანიშნული. ასეთი ბავშვის შვილად აყვანა მოკლე დროით მოხდება და გაგრძელდება მისთვის მეურვის მეურვის და მზრუნველის დანიშვნამდე. შვილობილად აყვანა არ ნიშნავს იმას, რომ მეურვის ან მზრუნველის დანიშვნა მოისპოს. ასევე შვილის ჩამორთმევისას მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევის ან შეზღუდვის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია ბავშვი დროებით მოათავსოს მესამე პირთან. ყველაზე კარგი ვარიანტი კი მიმღებისთვის ბავშვის მინდობით აღსაზრდელად გადაცემაა. მშობლის

[65] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 300-301

პირვანდელ სამართლებრივ მდგომარეობაში აღდგენა შილობილობს შესახებ მიღწეული შეთანხმების გაუქმების საფუძველია, თუ ეს აშკარად არ ეწინააღმდეგება ბავშვის აღზრდის ინტერესებს. თუ ბავშვი დატოვებულია მეურვესთან ან მზრუნველთან მისგან დამოუკიდებელი მზიეზების გამო ბავშვისთის საზიანოა და მეურვე ან მზრუნველი ამის თაობაზე მიმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. მსგავს შემთხვევაში მეურვეობა ან მზრუნველობა ბავშვის მიმართ არ წყდება. და ახალი მეურვის ან მზრუნველის შერჩევამდე შესაძლებელია ბავშვის გადაცემა შვილობილად. თუ მშობლის უფლებები-გადაწყვიტოს ვისთან უნდა იცხოვროს ბავშვმა, შეზღუდულია და ბავშვი უნდა განთავსდეს თავისი ოჯახის გარეთ.

საოჯახო სამართალში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს მშობლისათვის იმის განსაზღვრის უფლების მინიჭება, თუ რომელ მშობელთან უნდა იცხოვროს ბავშვმა. ამის საჭიროება ძირითადად მაშინ დგება, როცა მშობლები განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო ცალკ-ცალკე ცხოვრობენ. შესაძლებელია ამ უფლების შეზღუდვა თუ მას მშობლები ვერ იყენებენ შვილის ინტერესების შესაბამისად, ასევე თუ ბავშვის განთავსება ოჯახის გარეთ განპირობებულია მისი მშობლისთვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეჩერებით. მინდობით აღზრდას ექვემდებარება ასევე 21 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში განრიდების ღონისძიების სახით გამოიყენება მინდობით აღსაზრდელად განთავსება.[66]

შვილობილობის პროცესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიმღები ოჯახის[67] აღრიცხვისა და მათი იმ წევრების დაზუსტება, რომლებსაც დედობილ-მამობილის ფუნქციების განხორციელება დაეკისრებათ, როცა მიმღებ ოჯახზეა ლაპარაკი, აქ იგულისმხება, რომ მთელი ოჯახი მზადყოფნაშია. ოჯახში ბავშვის შვილობილად მიღებისას თანხმობა უნდა გამოხატოს მისმა სრულწლოვანმა ყველა წევრმა. ხელშეკრულება კი უნდა გაფორმდეს კონკრეტულ აღმზრდელებთან-დედობილ-მამობილთან ან ერთ-ერთ მათგანთან.

ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ვადით, გარდა გადაუდებელი მინდობით აღზრდისა, მინდობით აღსაზრდელის მიერ სრულწლოვნობის მიღწევამდე, აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული პირის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 21 წლის ასაკის მიღწევისა. 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის მინდობით

---

[66] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 301-302

[67] მიმღები ოჯახი, დედობილ-მამობილის ოჯახები, რომელთაც გადაეცემა შვილობილები მოსავლელად და აღსაზრდელად ხელშეკრულების დადების საფუძველზე, რაც დროებით ხასიათს ატარებს.

აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

ხელშეკრულება ფორმდება ერთის მხრივ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მეორე მხრივ, ბავშვის შვილობილად აყვანის მსურველ პირს შორის. ამ მომენტიდან მოსავლელად და აღსაზრდელად გადაცემული ბავშს ეწოდება შვილობილი, მიმღები ოჯახის წევრებს აღმზრდელებს-დედობილ-მამობილი. ხელშეკრულება შვილობილობის შესახებ ფორმდება მარტივი წერილობითი ფორმით. შრომითი ხელშეკრულება აუცილებლად უნდ ამოიცავდეს: ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის პირობებს, დედობილ-მამობილის უფლებებსა და მოვალეობებს, შვილობილზე ზრუნვის ხარჯების ანაზღაურებისა და დედობილ-მამობილის შრომის ანაზღაურების ოდენობას, მხარეთა პასუხისმგებლობასა და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს. მინდობით აღზრდა წყდება შემდეგ შემთხვევებში: ხელშეკრულების ვადის გასვლისას, თუ მისი გაგრძელება არ მოხდა; დედობილის/მამობილის მიერ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შესახებ განცხადების გაკეთებისას; დედობილის/მამობილის გარდაცვალებისას; ბავშვის გარდაცვალებისას; მინდობით აღსაზრდელის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებისას; მინდობით აღსაზრდელის შვილად აყვანისას; თუ მინდობით აღსაზრდელი გახდა სრულწლოვანი; თუ მინდობით აღსაზრდელი დაქორწინდა; მიმღები ოჯახის ინიციატივით, თუ არსებობს დასაბუთებული მიზეზი (ავადმყოფობა, ოჯახური ან მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, მინდობით აღსაზრდელსა და მიმღები ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტი); მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით, თუ მიმღებ ოჯახში შექმნილია მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვისა და მისი აღზრდისათვის საზიანო პირობები და გარემო;

თუ მინდობით აღზრდა შეწყვეტილ იქნა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო იღებს ზომებს ბავშვის ალტერნატიული განთავსების უზრუნველსაყოფად.[68] შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების გადასინჯვა. მასში ცვლილებების და დამატებების შესატანად აუცილებელია მხარეთა შეთანხმება.[69]

თავი V. კვლევის შედეგები

[68] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №51/ნ მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ. მ. 17
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1008793?publication=0 ;

[69] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, იქვე, გვ. 305

საოჯახო კანონმდებლობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ოჯახში ბავშვის აღზრდა, რომელშიც აქტიურად უნდა იყოს ჩართული სახელმწიფო, რათა შვილად აყვანა მოხდეს კანონის სრული დაცვით ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ვინაიდან ეს ინსტიტუტი განვითარების ყველა ეტაპზე უმჯობესდებოდა ცალკეულ საკითხებში შესაძლებელია სრულყოფილად დაიხვეწოს კანონმდებლობა.

პრობლემა დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია გამომდინარე იქიდან, რომ შიდა ნორმატიულ აქტებში ბევრი ისეთი შეზღუდვებია რაც აფერხებს საკითხის სწრაფ გადაწყვეტას ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებით, ხშირ შემთხვევაში იმდენადაა ეს პროცესი გაწელილი, რომ აქ უკვე ცხადია ბავშვის საუკეთესო ინტერესი ირღვევა და ის საკითხი, რომ ბავშვი უნდა იზრდებოდეს ოჯახში, სრულ ჰარმონიაში, უკვე უკანა პლანზე დგას.

საკითხის შესწავლისას ნათლად გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებიც დღეს ამ ინსტიტუტს ახასიათებს. ქართული კანონმდებლობა ბავშვის უპირატეს უფლებას უგულვებელყოფს ბიოლოგიური მშობლების სასარგებლოდ და თუ მშობელი უარს აცხადებს ბავშვის გაშვილებაზე ბავშვი ვერ გაშვილდება. კანონში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია ბავშვის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე გაშვილება, მაგრამ თუ კანონი მეუბნება, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესი და იგი უნდა აღიზარდოს ოჯახურ გარემოში, რამდენად არის გამართლებული ბავშვის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან უარი ბავშვის გაშვილებაზე, როდესაც ამ ბავშვს არ აქვს ოჯახური გარემო ან/და რამდენ ხანს შეიძლება არ ჰქონდეს, მხოლოდ იმის გამო, რომ მშობელი არ აცხადებს თანხმობას მის გაშვილებაზე, მით უმეტეს თუ არ იჩენს ყურადღებას ბავშვის მიმართ თვეების განმავლობაში. აღნიშნული კი ბავშვის პიროვნების სრულ და ჰარმონიულ განვითარებას უშლის ხელს. მართალია კანონში არის ამომწურავად ჩამოთვლილი, თუ რა შემთხვევაში შეიძლება გაშვილდეს მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე ბავშვი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს საკითხი ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი და განსაზღვრული, თუ რა საფუძველს ეყრდნობა კანონიერი წარმომადგენლის უარი იმ შემთხვევაში, როცა ბავშვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი აქვს? ცხადია თუ ბავშვზე ზრუნვა ადრეულ ასაკში არ დაიწყება და ეს დრო გაიწელება მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს უარს ბავშვის გაშვილებაზე რა თქმა უნდა ეს აკრძალვის საფუძველი კონკრეტიზირებულს ვერ ხდის ბავშვის უფლებას ჰქონდეს საშუალება აღიზარდოს ოჯახში.

კანონი კატეგორიულად კრძალავს ასევე შვილად აყვანას, თუ ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვი ამის წინააღმდეგია, ბატონი რ. შენგელია თავის სახელმძღვანელოში აღნიშნავს, რომ მართალია ათი წლის ბავშვი სრულყოფილდ ვერც კი აცნობიერებს გაშვილების საკითხის სამართლებრივ შედეგებს, თუმცა გაშვილების შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი აზრი, თუ იგი წინააღმდეგია, რომ გაშვილდეს მაშინ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად სასამართლო გაშვილებაზე უარყოფით გადაწყვეტილებას გამოიტანს. ამ საკითხთან დაკავშირებით ნაწილობრივ არ ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ბავშვის აზრს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ვფიქრობ, რომ კანონში არ არსებობს დათქმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს ბავშვი ანუ რამდენად ძალუძს მას დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება. კარგია როცა ბავშვი თავად აკეთებს არჩევანს იქნეს თუ არა გაშვილებული, მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ბავშვს არ გააჩნია სათანადოდ აზროვნების უნარი და იგი აღიარებულია ქმედუუნაროდ, ან მისი ქმედუუნარობის საკითხის დადგენაზე არ მიუმართავთ სასამართლოსთვის, შესაბამისად გამოიკვეთა ის, რომ არასათანადო აზროვნების მქონე ბავშვი არაა აღიარებული ქმედუუნაროდ და ამის საფუძველზე მის მიერ მიცემულ თანხმობას ეყრდნობიან მისი გაშვილების საკითხის გადაწყვეტისას. ის, რომ ბავშვი მზრუნველობას მოკლებულია, მას სურვილიც დიდი აქვს, რომ აღიზარდოს ოჯახურ გარემოში, მაგრამ ის თუ რამდენად არის მზად იმისთვის, რომ თანხმობა განაცხადოს გაშვილებაზე ცალკე შეფასების საკითხია.

საყურადღებოა ასევე კანონში არსებული ჩანაწერი მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის ასაკობრივ სხვაობაზე, რომელიც არ უნდა იყოს 16 წელზე ნაკლები, მშვილებელსა და 10 წლამდე ასაკის გასაშვილებელ ბავშვს შორის მაქსიმალური ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს 49 წელზე მეტი. პრობლემური საკითხია, ვინაიდან 49 ან პირობითად 55 წლის ან უფრო მეტი ასაკის სრულწლოვნის მიერ ნაშვილები ბავშვი ისეთივე რისკის ქვეშაა, როგორც 35 წლის სრულწლოვნის მიერ ნაშვილები ბავშვის შემთხვევაში, რადგან აქ ბავშვის დაობლების რისკის განსაზღვრა ცალკეულად შეფასების საკითხია. კანონის ჩანაწერი მშვილებელსა და 10 წლამდე ასაკის გასაშვილებელ ბავშვს შორის მაქსიმალურ ასაკობრივ ზღვარს გვიწესებს 49 წელს, ვფიქრობ რომ ეს 49 წლიანი სხვაობა არა მხოლოდ 10 წლამდე ასაკის ბავშვებზე არამედ იმ ბავშვებზეც უნდა ვრცელდებოდეს რომელბიც უკვე ამ ასაკს გასცდნენ.

ასევე მშვილებლის მოთხოვნით, კონფიდენციალურობის უზრუნვლყოფის მოტივით, ბავშვს შეიძლება შეეცვალოს სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი და დაბადების თარიღი. თუმცა შესაძლებელია, რომ ბავშვს ასევე დარჩეს ადრინდელი გვარი. მიმაჩნია იმისთვის,

რომ ბავშვის ინტერესები უკეთ, რომ იქნეს დაცული, სამომავლოდ გამოწვეული უსიამოვნებებისგან, თუნდაც იმიტომ. რომ ბავშვი შეიძლება ნაშვილები იქნეს ისეთ პატარა ასაკში, რომ მან თავისი მშვილებელი აღიქვას ნამდვილ მშობლად და შესაბამისად ის საკითხი, რომ ბავშვს შეიძლება დარჩეს ადრინდელი გვარი არ მიმაჩნია სწორად, ისევ ბავშვის უსაფრთხოებიდან და ჰარმონიული ცხოვრების შექმნის პირობებიდან გამომდინარე.

ჟურნალ ცხოვრება და სამართალში ნ. ბოკერია წერს შვილების სამართლებრივ საფუძვლებზე ქართულ სამართალში. ბოკერია აღნიშნავს, რომ შვილება რომ განხორციელდეს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც ბავშვის, ასევე მშობლების ჯანმრთელობის მდგომარეობა. ასევე რა ნეგატიური ხასიათის ნიშნები აქვთ ბავშვის სისხლისმიერ მშობლებს, რომლებმაც ეს ბავშვი მიატოვეს. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა იყოს დაშვებული ახალ ოჯახში ბავშვის გადაცემა, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სერიოზულად დარღვეულია. ნ. ბოკერიას მოსაზრებას სრულად არ ვიზიარებ ვინაიდან, ბავშვი რომელიც შეიძლება იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამ გამოკვლევის საფუძველზე ივარაუდება, რომ მას არასდროს ექნება შესაძლებლობა ჰყავდეს ოჯახი და იცხოვროს სრულ ჰარმონიულ გარემოში და განვითარდეს. რა თქმა უნდა აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა მშვილებელს სურს იშვილოს სრულიად ჯანმრთელი ბავშვი, მაგრამ ეს არ უნდა აფერხებდეს იმ ბავშვის გაშვილების საკითხს, რომლის ერთ-ერთი მშობელი თუნდაც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი იყო. უკეთესი იქნება, თუ გამოკვლეული იქნება მხოლოდ ის საკითხი, თუ რა საფუძვლით და რა მიზეზით იქნა ბავშვი მიტოვებული. ის ბავშვი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, საჭიროებს ასევე ისეთ ოჯახზე გაშვილებას, რომლებიც სრულად მზად იქნებიან იმისთვის რომ ასეთ ბავშვზე ზრუნვა განახორციელონ და გაუთანაბრონ იგი ღვიძლ შვილებს.

ჩემს მიერ ასევე გამოკვლეული იქნა სტატისტიკური მონაცემები და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სტატისტიკურად 2010 წლიდან 2019 წლამდე, შიდა შვილად აყვანის ფარგლებში, გაშვილებულია 1753 (ათას შვიდას ორმოცდაცამეტი) ბავშვი, რაც შეეხება მინდობით აღზრდის სერვისით ისარგებლა ამვე წლებში 3019 (სამი ათას ას ცხრა) ბავშვმა, ხოლო საერთაშორისო შვილად აყვანის ფარგტლებში გაშვილებულია 30 (ოცდაათი) ბავშვი.

აღსანიშნავია, რომ შვილობილობის დროებითი ხასიათიდან გამომდინარე, ძალზედ გაფართოვდა მისი გამოყენების სფერო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტიტუტმა ფართო გამოყენება ჰპოვა და ბავშვთასახლებში არსებული სიტუაცია შედარებით დაარეგულირა, მაინც

დასაფიქრებელია, ის საკითხი, რამდენად არის ბავშვი ფსიქოლოგიურად მზად იმისთვის რომ მინდობით აღსაზრდელად მიმღებ ოჯახში გააგრძელოს ცხოვრება, თუ აქვთ ბავშვებს გააზრებული ის საკითხი, რომ მათ ეყოლებათ ოჯახი, რომელსაც აქვს დროებითი ხასიათი. ის რომ სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს ბავშვის ოჯახურ გარემოშ აღზრდის უზრუნველყოფა, მინდობით აღსაზრდელად გადაცემის შემთხვევაში, რამდენად აქვს ბავშვს ზუსტად ეს ოჯახური გარემო, ხომ არ იგრძნობს თავს განცალკევებულად სწორედ იმის გამო, რომ იცის ეს დროებით ხასიათს ატარებს.

დასკვნა

შვილად აყვანა ადრეული პერიოდიდან იღებს სათავეს და მისი მნიშვნელობა განპირობებულია უპირველესყოვლისა იმით, რომ უმეთვალყურეოდ და მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვებს ჰქონდეთ სრულყოფილი ოჯახური გარემო. ნაშრომში განხილული საკთხები ნათლად გვაჩვენებს რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ბავშვის ოჯახში აღზრდა, რაშიც აქტიურად ჩანს სახელმწიფოს როლი. მისი განვითარების ეტაპზე კანონმდებლობის რეგულირებას მოჰყვა, ასევე შედარებით ახალი ინსტიტუტის დანერგვა- მინდობით აღზრდა, რომელიც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

ნაშრომი მკვეთრად მიჯნავს შვილად აყვანის და შვილობილობის საკითხს, შვილად აყვანის დროს წარმოშობილი ურთიერთობები ისეა გამყარებული, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა სისხლისმიერ ნათესაობაზე დამყარებული ურთიერთობა. შვილად აყვანის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები ძირითადად პასუხობენ ამ ურთიერთობის განვითარების თანამედროვე პირობებს და მხოლოდ ცალკეული საკითხები საჭიროებს დაზუსტება და შევსებას. რაც შეეხება მინდობით აღზრდის საკითხს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე მასზე მზრუნველობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა და ემსახურება ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდას, თუმცა შვილობილობა არ წარმოადგენს ბიოლოგიურ მშობლებთან ურთიერთობის ტოლფას ურთიერთიობას, მათ შორის საალიმენტო და მემკვიდრეობითი უფლება-მოვალეობანი არ წარმოიშობა. შვილად აყვანისგან განსხვავებით, შვილობილობა ატარებს დროებით ხასიათ, სწორედ ამიტომ საალიმენტო და მემკვიდრეობითი უფლება-მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ თავის მშობლებთან და მათ ნათესავებთან მიმართებაში.

როგორც კვლევის შედეგების ნაწილში აღვნიშნეთ ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს კანონის ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ კანონი კრძალავს 10 წელს მიღწეული ბავშვის გაშვილებას თუ იგი ამის წინააღმდეგია, პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ რთულია განსაზღვრო 10 წლის ბავშვი რამდენად სრულყოფილად აცნობიერებს მოსალოდნელ შედეგს, რამდენად ძალუძს მას დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიზნია ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა, თუმცა ბავშვი რამდენად არის მზად თანხმობა ან უარი განაცხადოს გაშვილებაზე ცალკე შეფასების საკითხია.

შვილად აყვანის და შვილობილობის საკითხი საკმაოდ ფაქიზ მიდგომას საჭიროებს, კარგად უნდა იქნეს გამოკვლეული და შესწავლილი მიმღები ოჯახები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ შვილის აყვანა ან შვილობილობა, ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება

დეტალურად უნდა იქნეს განხილული, რათა არ გამოვლინდეს ხარვეზები და არ დაირღვეს ის მთავარი პრინციპი, რაც ბავშვის საუკეტესო ინტერესის გათვალისწინებას გულისხმობს.

კანონმდებლობაში არის ასევე, რამდენიმე საკითხი რასაც ნაწილობრივ არ ვიზიარებ, მაგალითად მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის ასაკობრივ სხვაობაზე, რომელიც არუნდა იყოს 16 წელზე ნაკლები. მშვილებელსა და 10 წლამდე ასაკის გასაშვილებელ ბავშვს შორის მაქსიმალური ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს 49 წელზე მეტი. პრობლემად მივიჩნევ ამ საკითს, ვინაიდან 49 ან პირობითად 55 წლის ან უფრო მეტი ასაკის სრულწლოვნის მიერ ნაშვილები ბავშვი ისეთივე რისკის ქვეშაა მშობლის მზრუნველობის განხორციელების შემთხვევაში, როგორც 35 წლის სრულწლოვნის მიერ ნაშვილები ბავშვის შემთხვევაში, რადგან აქ ბავშვის დაობლების რისკის განსაზღვრა ცალკეულად შეფასების საკითხია. მიმაჩნია რომ ეს ციფრები უბრალოდ ციფრები არ უნდ აიყოს და ზუსტად უნდა პასუხობდეს კანონის ჩანაწერს.

კანონში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია ბავშვის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე გაშვილება, რამდენად არის გამართლებული ბავშვის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან უარი ბავშვის გაშვილებაზე, არაფერია ნათქამი იმასთან დაკავშირებით თუ რა საფუძვლებს ემყარება მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის უარი გაშვილებაზე, ხომ არ ილახება მოცემულ მომენტში ბავშვის ინტერესები!? ცხადია თუ ბავშვზე ზრუნვა ადრეულ ასაკში უნდა განხორციელდეს, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის უარი არ უნდა აბრკოლებდეს ბავშვის ოჯახურ გარემოში სრული და ჰარმონიული აღზრდას, მართალია კანონში სრულად არის ჩამოთვლილი რა შემთხვევაში უნდა გაშვილდეს ბავშვი კანონიერი წარმომადგენლის ან მშობლის თანხმობის გარეშე, მაგრამ კარგი იქნება თუ ჩამოყალიბებული იქნება რიგი საკითხები, თუ რა შემთხვევაში აქვს უფლება მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს უარი თქვას გაშვილებაზე.

მინდობით აღზრდი ინსტიტუტი ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების განხორციელების თვალსაზრისით, დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ ყურადღება უნდა გამახვილდეს მის უარყოფით მხარეებზეც, კერძოდ, მინდობით აღზრდის დროს ბავშვი მიმღებ მშობლებთან რჩება გარკვეული დროით, ამ ვადას კი სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომელის ვადის გასვლის შემდეგაც ბენეფიციარი ტოვებს ოჯახს და ელოდება ახალ მშობლებს, რომლებიც იზრუნებენ მასზე. ცხადია, ასეთ დროს ბავშვს ვერ ექნება სრულყოფილი ოჯახური გარემოს შეგრძნება, რაც არღვევს მის უფლებას. ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა სახელმწიფომ სწორად წარმართვაში ან მიიღოს ყველა ზომა

იმისთვის, რომ ნაცვლად მინდობით აღზრდაში განთავსებისა, მოხდეს ბავშვის გაშვილება და მისი უზრუნველყოფა მუდმივი მზრუნველი ოჯახით, ან მოხდეს ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს მინდობით აღზრდისა და შვილად აყვანის სფეროში საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული რეფორმები, განსაკუთრებით, კი გაშვილების პროცესის გამარტივება, მაგრამ ბავშვის უპირატესი უფლების განსახორციელებლად, საჭიროა კიდევ უფრო მეტი გაკეთდეს.

გამოყენებული ლიტერტურა

მონოგრაფიები:

1. ახალი უმაღლესი სასწავლებელი, საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი, თბ., გამომც. „უნივერსალი“, 2018;
2. ბეგიაშვილი მ., მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელების თავისებურებები საქართველოში და სოციალური მუშაობა, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა, თბ., 2019;
3. ბოკერია ნ., შვილების (შვილად აყვანის) სამართლებრივი საფუძვლები ქართულ სამართალში, ჟურნალი, „ცხოვრება და სამართალი“, თბ., 1998;
4. გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2006;
5. გოგლიძე მ., ჟურნალი „დიპლომატია და სამართალი“, თბ., 2016;
6. კალანდაძე ნ., შვილად აყვანა საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბ., 2014;
7. მამულაშვილი მ., შვილად აყვანა (შედარებით სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2014;
8. ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „სამთავისი“ 1996;
9. ნადიბაიძე ლ., შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემები, ავტორეფერატი, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1998;
10. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013;
11. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“ თბ., 2004;
12. ხუციშვილი ო., თუმანიშვილი გ., საქართველოში ბავშვის შვიილად აყვანასთან დაკავშირებული პრობლემების სამართლებრივი ანალიზი, თბ., 2010;
13. ჯორბენაძე ს., საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბ., 1957;

უცხოური ლიტერატურა:

14. Веберс Я. Р., сущность усыновления и его правовйе последствия. правоведение. 1996;
15. Кузьмичева Л. А., усыновленне по действуюшему семейному законодатеьству.паравоведение 1993;
16. Кузьмичева Л. А., усыновленне по семейному праву: автореф. Харйков, 1976;
17. Нуфаев В., детское право, его предмет и объем. право и жизнь. 1926;

სასამართლო პრაქტიკა:

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2003 წლის 28 თებერვლის განჩინება, №-1349-02
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, 2006 წლის 10 ივლისის განჩინება, №711-შ-41-06

ნორმატიული აქტები:

20. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
21. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997;
22. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, 2017;
23. გაეროს კონვენცია, ბავშვის უფლებების შესახებ, 1989;
24. ჰააგის, კონვენცია ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, 1993;

ვებ. გვერდები:

25. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0;
26. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1008793?publication=0 ;
27. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16234?publication=4 ;
28. http://liberali.ge/articles/view/19943/salome.ge ;
29. http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf;
30. file:///C:/Users/User/Desktop/%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D/143-406-1-PB.pdf;
31. http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/iuridiul-sakitxta-komiteti-146/komitetis-saqmianoba-iuridiuli/komitetis-sxdomebi1112/sxdomis-oqmi-n1311.page ;
32. https://legalclinic.iliauni.edu.ge/shvilad-aqhvana-mindobith-aghzrda-saerthashoriso-gashvileba-da-mathi-shemdgomi-kontroli/;